

ინდური დღიური

ერთმა მდიდარმა კაცმა სიკვდილის წინ მთელი ქონება თავის ცოლებს გაუნაწილა. უმცროსმა ცოლმა უთხრა, რა ფასი აქვს ამ სიმდიდრეს, თუ “ომრიტოს” მოცემა არ შეგიძლია?! ომრიტო ბენგალურ ენაზე მარადისობას ნიშნავს.

ეს ძველი ინდური თქმულება იმ ქართულ ლეგენდას მაგონებს, რომლის თანახმად, ღმერთმა მიწების განაწილების დროს საქართველო თავისთვის შემოინახა და შემდეგ იძულებული გახდა, ეს ტერიტორია დაგვიანებული და უმიწაწყლოდ დარჩენილი ქართველებისთვის დაეთმო.

დარწმუნებული ვარ, ამ განაწილების დროს ინდოელებს, სწორედ “ომრიტო” ერგოთ.

მანანა დუმბაძე
იანვარი –ივნისი, 2001

ნაწილი პირველი:

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ინდოეთის დიდ მიწაზე!

კალკუტის საერთაშორისო აეროპორტს პირველად ათასწლეულის ბოლო დღეს ვეწვие (1 იანვრიდან კალკუტას მისი ისტორიული სახელი – “კოლკატა” – დაუბრუნდა და მთელი აეროპორტი, განსაკუთრებით კი ადგილობრივი მომსახურე პერსონალი, ამაზე საუბრობდა). ჩემი მეგობარი და კოლეგა, მოგზაურთა ჟურნალ “ბრჰამანის” მთავარი რედაქტორი ბატონი ამარენდრა ჩაკრაवორტი, მოუთმენლად მელოდა საბაჟოს მეორე მხარეს. როგორც კი საბაჟო პროცედურებს თავი დავაღწიე, ამარენდრაც გამოჩნდა, სამი წითელი ვარდით ხელში. “კეთილი იყოს შენი მობრძანება ინდოეთის დიდ მიწაზე! ამ ვარდთაგან ერთ-ერთი ინდოეთის კულტურულ ტრადიციებს განასახიერებს, მეორე მისი დიდებული ბუნების სიმბოლოა, მესამე კი ინდოელი ხალხის სითბოსა და სტუმართმოყვარეობას გამოხატავს”, - შემეგება ჩემი მასპინძელი.

ის დღე 2001 წლის 31 დეკემბერი იყო. ტემპერატურა დღისით ოცდაოთხს, სადამოლობით კი პლიუს თოთხმეტ-თხუთმეტ გრადუსს აღწევდა. დაახლოებით ისეთი “ხავერდოვანი” ამინდები იდგა, როგორიც ჩემს

მშობლიურ ქვეყანაში ადრეულ შემოდგომაზე იცის. იქაური ამინდის შესახებ წინასწარ საკმარისი ინფორმაცია მქონდა. თუმცა ზამთრის მილისგან მხოლოდ მაშინ გამოვფხიზლდი, როდესაც ღაწვებზე მზის სხივების პირველი შეხება ვიგრძენი. ჩემდა საბედნიეროდ, აღმოვაჩინე, რომ ინდოეთში სამოგზაუროდ სწორედ წელიწადის ეს დრო იყო საუკეთესო.

აეროპორტიდან სახლში მისვლას მთელი საათი მოვუნდით, ასე რომ, აეროპორტისა და ქალაქის ცენტრის დასათვალიერებლად დრო მართლაც სამყოფი მქონდა. ჩემი პირველი შთაბეჭდილება, განსაკუთრებით ქალაქის გარეუბანზე, მაინცდამაინც აღმატებული არ ყოფილა: ურბანული არქიტექტურისთვის დამახასიათებელი ტიპური ხედები მწირი ნარგავებითა და ღია სივრცეებით, ნაცრისფერი და ყავისფერი აჩრდილებით, თიხისფერი კორპუსებით გზის ორივე მხარეს... მოკლედ, ზუსტად ისეთი, როგორსაც მსოფლიოს ნებისმიერ ინდუსტრიულ ქალაქში წააწყდება ადამიანი. არადა, თვითმფრინავის ილუმინატორიდან კალკუტა გაცილებით მშვენიერი ჩანდა. უზარმაზარ ხელისგულს წაგავდა, რომელზეც ასობით დიდი და პატარა ხაზი კვეთდა ერთმანეთს, ხოლო ყველაზე გრძელი და ღრმა ღარი – მდინარე განგი – სიცოცხლის ხაზით გადაჭიმულიყო.

სახლისკენ მიმავალ გზაზე ამარენდრა ინდოეთში მოგზაურობის შესახებ სასარგებლო რჩევებს მაძლევდა თან დაგეგმილ მარშრუტს მაცნობდა. საინტერესო შემოთავაზებებს შორის კი იმაზე ჩიოდა, თუ რამდენად რთული იყო ამ გრანდიოზული გეგმის თხუთმეტ დღეში ჩატევა. მისი თქმით, ამ ქვეყნის დიდებულების სრულად შეგრძნებას ერთი თვეც არ ეყოფოდა. ჩემს მასპინძელს ძალისხმევა მართლაც არ დაუშურებია: ბევრი უფიქრია წინასწარ, ინდოეთის დიდი მიწა – თავისი ოკეანით, მდინარეებით, ტყეებით და ჰიმალაის მთებით ორ კვირაში როგორ “დამეგემოვნებინა”.

ამარენდრას სასარგებლო და სასიამოვნო რჩევების ფონზე კალკუტის ცენტრს მივაღწიეთ და უცაბედად სატრანსპორტო საცობის შუაგულში აღმოვჩნდით. ჩვენი იაპონური ავტო, როგორც პატარა წყალქვეშა ნავი, გზას “მილიონობით” სატვირთო და მსუბუქ მანქანას, ველოსიპედსა და რიკშას შორის მიიკვლევდა. სხვადასხვა სახის ტრანსპორტი ისეთივე თვალისმომჭრელი იყო, როგორც მოცურავე გემები – უკიდვანო ოკეანეში. ასობით მანქანა ერთდროულად იძლეოდა საყვირს. ავტომანქანების ფანჯრებიდან გადმოყუდებული მძღოლები ერთმანეთს უყვიროდნენ, უფრო სწორად, ერთმანეთს კი არა, რიკშებს და იმ ადამიანებს, რომლებიც ამაოდ ცდილობდნენ ქუჩის უსაფრთხოდ გადაკვეთას. ამ აურზაურის

ხილვა ნამდვილად ღირდა იმად, რომ კიდევ ერხელ დავრწმუნებულიყავი: ცხოვრება მსოფლიოს ყველა კუთხეში ერთნაირია. შესაძლოა, ადამიანები გარეგნულად, ტანისამოსით განსხვავდებიან ერთმანეთისგან, მაგრამ ერთი და იგივე ვნებები ამოძრავებთ.

ქალაქის ცენტრიდან სახლისკენ მიმავლებმა გზიდან გადავუხვიეთ და სრულიად განსხვავებულ გარემოში აღმოვჩნდით. ვიწრო გზაჯვარედინის გარშემო ძველებური ორსართულიანი სახლები, მყუდრო კაფეები, პაწაწინა იაფფასიანი მაღაზიები და კლიენტების მომლოდინე ცარიელი რიკშები გაწვდილი. იქაურობა სოფლის ეზოსავით მშვიდია და კოჰწია. ჩაკრავორტების ოჯახი სწორედ ამ უბანში, მრავალსართულიანი სახლის მეექვსე სართულზე ცხოვრობს. მათი საცხოვრებელი მეზობლებისგან მაღალი აგურის კედლითა და რკინის ჭიმკრითაა გამიჯნული. ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი მცველი მცხოვრებთა სიმშვიდესა და უსაფრთხოებას უზრუნველყოფს.

სახლის სახურავზე ქალბატონ ჩაკრავორტის მშვენიერი ბაღი აქვს გაშენებული. მას ტუკუ ჰქვია, პროფესიით ბოტანიკოსია და უამრავ ეგზოტიკურ მცენარეს, დეკორატიულ ნარგავს თუ ყვავილს ახარებს. ვერანდიდან ულამაზესი ხედი იშლება: დიდი და პატარა სალოცავები, სკვერები, რკინიგზისა და გზატკეცილების ხლართები, მთები და ველები. იქედან მანქანები მწერებივით დაბზუიან და წინ და უკან დაჰქრიან.

ტუკუს არათითზე ულამაზესი მარგალიტის ბეჭედი უკეთია. ვკითხე, ეს თქვენი საქორწინო ბეჭედი-მეთქი? არა, ჩვენ საქორწინო ბეჭედი არ ვიცით, ჩვენი საქორწინო საჩუქარი ქმრის ოჯახისგან რკინის სამაჯურიანო, – მითხრა და მარჯვენა ხელზე წამოცმული სამკუთხა, პირამიდის ფორმის ოქროს სამაჯური მაჩვენა. შემდეგ მოიხსნა და დამანახა, რომ ოქროს კარკასის ქვეშ უბრალო რკინა იყო. საქორწინო სამაჯური, ტრადიციისამებრ, რკინისაა. გარედან ნებისმიერი ძვირფასი მეტალით შეგიძლია დაფარო, ასევე, შეგიძლია ძვირფასი თვლებითაც მორთო, მაგრამ შიგთავსი, რაც მის არსსა და დანიშნულებას გამოხატავს, აუცილებლად რკინისა უნდა იყოს. რაც შეეხება მარგალიტის თვალს, იგი ინდოეთში სიმშვიდის, წონასწორობის, მოთმინებისა და მშვიდობის სიმბოლოა. ამიტომ დიდი და პატარა, ქალი და კაცი, მდიდარი და ღარიბი, ყველა მარგალიტს ატარებს. ის, რომ მარგალიტი რომელიმე კულტურისათვის ცრემლის ნიშანია, ტუკუს აზრით, კულტურათა მრავალფეროვნების ჩვეულებრივი მაგალითია.

ვქმნით გუნდს!

ინდოეთში ჩემი ვიზიტის მიზანი მოგზაურობა გახლდათ. მე და ჩემი მასპინძელი სასადილო ოთახში “დარჯილინგის” ჩაის და “ჯაგერის” (პალმის შაქრისგან დამზადებული ტკბილეული) მივირთმევთ და ათას რამეზე ვსაუბრობდით. გადაწყვეტილების მიმღები კომიტეტის საპატიო წევრი პრინცესა ალადინი, ჩაკრავორტის უსაყვარლესი ოქროსფერი კოლი იყო. ალადინს დიდად არ ახარებდა ის ამბავი, რომ მისი ბატონი და ქალბატონი გაურკვეველი დროით აპირებდნენ სახლის დატოვებას. მიუხედავად მისი მედგარი წინააღმდეგობისა, ორკვირიანი ექსპედიცია საგულდაგულოდ დავგეგმეთ და გუნდიც შევქმენით - მე, ბატონი და ქალბატონი ჩაკრავორტები ძაღლის გამოკლებით. მოგზაურობის საწყისი წერტილი კალკუტის რკინიგზა იყო, საბოლოო კი – ბენგალის სრუტე და პური, ჰურიმას შტატში მდებარე ცნობილი ზღვისპირა ქალაქი. სანამ მოგზაურობათა მოგზაურობას დავიწყებდით, კალკუტაში დღენახევარი დავყავით.

პირველი შეხვედრა მდინარე განგთან

ჩემი ჩასვლის დღეს, ტუკუმ, ამარენდრამ და იმათმა უმცროსმა ქალიშვილმა ტუშიმ ათასწლეულის პარკში დამპტიქეს, რომელიც მდინარის პირას მდებარეობდა. პარკის გასასვლელთან ქუჩის ბაზრობა გაემართათ – ათასგვარი სუვენირითა და ინდური “ფასთფუდით” ვაჭრობდნენ. პარკი დაკეტილი აღმოჩნდა და ამიტომაც გარკვეული დრო ხმაურთან, მაგრამ ამავე დროს მხიარულ, გაჩახჩახებულ და ჭრელ ბაზრობაზე დავყავით.

თანდათან ღამდებოდა და ნისლი წვებოდა. წყალი ნაცრისფერ ცას ერწყმოდა. შორიდან ძალიან მიჭირდა მდინარის მკაფიოდ დანახვა, თუმცა კარგად ვარჩევდი თვალისმომჭრელ ვერცხლის ჯაჭვებს, რომლებიც მილიონობით აბრეშუმის ძაფის მსგავსად ნაპირიდან ცამდე გადაჭიმულიყო. სინამდვილეში ეს ვერცხლისფერი ჯაჭვები დაკიდებული ხიდი გახლდათ, დღევანდელიობის ერთ-ერთი უნიკალური კონსტრუქცია. როდესაც ნავსადგომისკენ დავეშვი, ორი ნავი ნაპირს ტოვებდა. წყალში ღრმად მოცურავე ნავი ანთებულ ლამპარს გავდა. ეს მართლაც დიდებული სანახაობა იყო – ბუნების ხელით შექმნილი ღვთაებრივი ხელოვნება. უცებ გამახსენდა, რომ ათასწლეულის ბოლო ღამეს, განგებამ თუ ბედმა, მსოფლიოს უწმინდესი მდინარის, განგის ნაპირზე მომიყვანა. გავაცნობიერე, რომ შემეძლო ხელით შევხებოდი წმინდა წყალს. ასეც მოვიქეცი და ხელი განგში ჩავყავი. გასულ წელს სწორედ ამ მდინარის ნაპირას მოიყარა თავი თითქმის მთელმა სამყარომ. ინდოელებს და სხვა ეროვნების რელიგიურ ადამიანებს სწამთ, რომ ამ მდინარის წყალს მიწიერი ცოდვებისგან განბანა ძალუძს.

მდინარის ნაპირას კაფე, სახელად “სქუპი”, მდებარეობდა. როგორც ამიხსნეს, ეს კაფე 60-იან წლებში სახელოვანი მწერლების, მხატვრების, მუსიკოსების და სხვა გამოჩენილი ადამიანების საყვარელი ადგილი იყო. სწორედ ამ კაფეში ჰყვარებიათ მათ მუსაიფი ფინჯანი ყავითა და კალკუტის უგემრიელესი ნაყინით. ჩვენც, ტრადიციულად, კაფეს გულგრილად ვერ ავუარეთ. შევედით. თანამედროვე ჰანგები და ხალისიანი, ხმამაღალი სიცილი ისმოდა; იყო ნაყინისა და ტკბილეულის ფართო არჩევანი, მაგრამ ხელოვანებსა და მწერლებს ვეღარ შეხვდებოდით. მათ მაგივრად ის ადამიანები ირეოდნენ, რომლებიც ჩვენსავით, ბაზრობისგან გადაღლილები, სულის მოსათქმელად ცოტა ხნით ეწვივნენ ცნობილ კაფეს.

ქაშმირელი ვაჭარი

ინდოეთით ჩემი აღფრთოვანება მაშინ დაიწყო, როდესაც მეორე დილით ქალბატონ ჩაკრავორტის დამ, დიტუმ მითხრა, რომ ქაშმირიდან თავშალების ვაჭარი ჩამოვიდაო. მე დაუყოვნებლივ შევწყვიტე პურში მოგზაურობისთვის ბარგის ჩალაგება და სტუმრის სანახავად სასადილო ოთახისკენ გავემართე. ქაშმირელი ვაჭარი იატაკზე, პატარა ყავისფერ ფარდაზე იჯდა და წინ თავშალების უზარმაზარი შეკვრა ედო. ჩვენ მის გარშემო დავსხედით და დიდებული წარმოდგენაც მაშინ დაიწყო. როგორც მეთევზე ოსტატურად ისვრის მდინარეში ბადეს, ისე სასწაულებრივად შლიდა ქაშმირელი ვაჭარი თავშალებს. წამიერად ჩემს თვალწინ ათასობით ფერადმა ორნამენტმა გაიელვა. ვგრძნობდი, რომ ვერ ვუძლებდი ცდუნებას და უკლებლივ ყველა თავშალი, ქაშმირის ყველა ყვავილი მსურდა შემეძინა. ვიყიდე მხოლოდ ერთი, სტაფილოსფერი, უზარმაზარი ვარდებით. გავეხვიე თავშალში და სარკისკენ გავემართე, რათა შენამდენით დავმტკბარიყავი. როდესაც დავბრუნდი, ქაშმირელი ვაჭარი იქ აღარ დამხვდა. იგი ჯადოსანივით ისევე მოულოდნელად გაუჩინარდა, როგორც შემოიჭრა.

ინდოეთის მუზეუმი კალკუტაში

კალკუტის ინდოეთის მუზეუმში ორშაბათი დასვენების დღეა, მაგრამ ჩემი მასპინძლის, ამარენდრა ჩაკრავორტის პატივისაცემად, დოქტორმა შიმალ ჩაკრავორტიმ, მუზეუმის დირექტორმა, რამდენიმე მნიშვნელოვანი ექსპოზიციის დათვალიერების ნება მაინც დაგვრთო.

ეს მუზეუმი ერთ-ერთი ყველაზე მდიდარია დასავლეთ ბენგალში. დანიელმა მეცნიერმა და ბოტანიკოსმა იგი 1814 წელს დაარსა და იქიდან მოყოლებული, მუზეუმი დასავლეთ ბენგალის კულტურულ ცენტრს წარმოადგენს. ევროპული მუზეუმებისგან განსხვავებით, ინდოეთის მუზეუმის ექვსი სექცია სამოც საგამოფენო დარბაზს მოიცავს. არც თუ ისე დიდი ხნის წინ, აქ მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი “მუზეუმის აჩრდილები” გადაიღეს. ფილმი მუზეუმის ისტორიასა და მის აწმყოს ეძღვნება. ბენგალელებს ერთი ღირსეული ტრადიცია აქვთ: ისტორიულად მნიშვნელოვან და ანტიკვარულ ნივთებს, ხელოვნების ნიმუშებს ინდოეთის მუზეუმს ჩუქნიან. ჩვენც კი გავხდით იმის მოწმენი, თუ როგორ გადასცა 97 წლის მხცოვანმა ინდოელმა პოეტმა ანანდა შანკარ როიმ მეათე საუკუნის ბუდას ქანდაკება მუზეუმს საკუთრებაში. იქვეა დაცული სარების კოლექცია, რომლებიც ერთ დროს რაბინდრანათ თაგორის დედის საკუთრებას წარმოადგენდა. კოლექცია საგამოფენო დარბაზს განსაკუთრებულ რომანტიკულობას და ინტიმურობას ანიჭებს. თაგორის, ამ უდიდესი ინდოელი პოეტისა და ნობელის პრემიის მფლობელის, ხელნაწერთა უმრავლესობა, ასევე ინდოეთის მუზეუმშია დაცული.

გულწრფელად გითხრათ, მუზეუმების ტრფიალი არასოდეს ვყოფილვარ. ყოველთვის ბუნებრივი სილამაზე, ადამიანებთან ახლო ურთიერთობები და მჩქეფარე ცხოვრება მხიბლავდა. თუმცა გამონაკლისი ყოველთვის არსებობს. ინდოეთის მუზეუმმა იმაზე მეტად აღმაფრთოვანა, ვიდრე ველოდი. მახსოვს, გამოგნა მუჰამედის ულვაშისა და თითის ანაბეჭდის ხილვამ თურქეთის ეროვნულ მუზეუმში, სტამბულში; ტუტანჰამონის, 18 წლის ეგვიპტელი ფარაონის, ოქროს სარკოფაგმა ეგვიპტის მუზეუმში, ქაიროში; პიეტამ წმინდა პეტრეს ტაძარში, რომში; და ახლა – ბუდას ნაფეხურმა კალკუტის ინდოეთის მუზეუმში. მსოფლიოს ეს სასწაულები უნიკალურია არა მხოლოდ მათი ასაკისა და სიწმინდის გამო, არამედ იმიტიც, რომ ისინი ხილულია ადამიანებისთვის, მეტიც – ხანდახან შეხებადიც. ეს ყოველივე გაგრძობინებს, რომ შენც მათი ცხოვრების და ისტორიის, ბედნიერების და ტრაგედიის განუყოფელი ნაწილი ხარ. ამქვეყნიური ყოფის სრულყოფილების განცდაც სწორედ ეს არის.

ნაწილი მეორე:

პური – ქალაქი ბენგალის ყურის სანაპიროზე

“ბენგალელი საკუთარ სახლს ცხოვრებაში ერთხელ მაინც თუ დატოვებს, აუცილებლად პურში წავა”, – ამიხსნა ამარენდრამ. ჩვენც სადამოთი კალკუტა დავტოვეთ და მეორე დღით უკვე პურის რკინიგზის

სადგურში ვიყავით, ვიქირავეთ ტაქსი და დაახლოებით თხუთმეტ წუთში ოკეანისპირა პატარა სასტუმროს მივაღწიეთ. სასტუმროს მთავარი შესასვლელის ორივე მხრიდან მშვენიერი ვარდების ბაღი აკრავდა. უკანა მხარეს კი ხავერდოვანი გაზონი და ორი უზარმაზარი ვერანდა ამშვენებდა, ბენგალის ყურეზე ხედით. დაბურულ ბაღნარში მიმავალი ბილიკი, რომელსაც უკანა ეზოში გავყავდით, პურის სანაპიროს ოქროს ქვიშით იყო დაგებული. ეს გახლდათ ყველაზე დიდი სანაპირო, რაც კი ოდესმე მენახა. არაფრით ჩამოუვარდებოდა რიო-დე-ჟანეიროს განთქმულ კოპა კაბანას.

“სიყვარული ისეთივე ძველია, როგორც სამყარო და ახალი, როგორც ეს წამი”- ამოტვიფრული იყო სასტუმროს ლიფტში. კიბის უჯრედის კედელზე ამოკვეთილი ციტატა კი მეგობრობას განადიდებდა. მეორე სართულზე ჩემს მყუდრო ოთახში დავბინავდი. მაშინათვე აივანზე გავედი დიდებული ხელების საცქერლად და იმ მშვენიერების შემხედვარეს მინდოდა ხმამღლა მეყვირა: “სილამაზე ისეთივე ძველია, როგორ სამყარო და ახალი, როგორც ეს წამი”.

ცოტა ხანში „აკადემიურად“ გამოწყობილი და ამავე დროს ფეხშიშველი, ნაპირზე ვსეირნობდი. იქ, ტურისტებისა და უცხოელების გარდა, ძალიან ცოტა ადამიანს თუ ნახავდით საცურაო კოსტუმში გამოწყობილს. გაგიკვირდებათ, მაგრამ თვით “ნულიაც” (მაშველი) კი ჩაცმულ-დახურული გამოცხადებულიყო პოსტზე. საოცარი სანახავი იყო, როგორ ბრწყინავდა დილის მზის სხივებქვეშ ველური, აქაფებული ტალღები; როგორ მინარნარებდნენ სველ ქვიშიან ნაპირზე თავზე კალათაშემოდგმული, პასტელის ფერებიან სარებში გამოწყობილი მშვენიერი ინდოელი ქალები. ზღვაში საცურაოდ თითქმის არავინ შედის, ამიტომ ნულიას სულ ძინავს. წადი, გაცურე და გადაგარჩენო, მითხრა. თვითონ წადი და მე გადაგარჩენ-მეთქი, ვუთხარი. გადარჩენა, საკმაოდ ძვირი ღირს. ესენიც ეკონომიკურ კრიზისზე წუწუნებენ: ტურისტები არ არიან, არაფერს ყიდულობენ, არ იხრჩობიან...

პურის სანაპირო ძალიან ჰგავს ჩემს მშობლიურ გულრიფშს, ულამაზეს ზღვისპირა აფხაზურ სოფელს შავის ზღვის სანაპიროზე. დღეს მე იქ ვერ ჩავდივარ, მხოლოდ მონატრების უფლებაღა დამრჩენია და გინდაც არ ჰგავდეს, მაინც ყველგან იგი მეღანდება. ზღვა დიდებული ადგილია მედიტაციისა და კონცენტრაციისთვის. საათობით შემიძლია ზღვასთან საუბარი. შემიძლია მზეს ზღვაზე გადებული ბილიკით უსასრულობაში გავყვე იქ, სადაც მზე წყნარ ღამეში იფერფლება და შემდეგ მთვარის ბილიკით უკან დავბრუნდე.

აღელვებული ტალღები ფართოდ შლიდნენ მკლავებს და სიღრმისკენ მიწვევდნენ. მინდოდა მოვხვეოდი, შევეგებე, ტალღები ღრიალებდნენ, თმაზე მარილიან ქაფს, სახეზე კი შხეფებს მაყრიდნენ. ტუკუ და ამარენდრა ჩემს მერე გადაეშვნენ ტალღებში. ვატყობდი, მათაც მხირულების და ბედნიერების, განუსაზღვრელი თავისუფლებისა და სიმშვიდის ისეთივე განცდა დაუფლებოდათ, როგორიც – მე. ამას მათ თვალეში ვხედავდი. ზუსტად ისევე გავაბი საუბარი ინდოეთის ოკეანესთან, როგორც ამას ჩემს უსაყვარლეს შავ ზღვასთან ვაკეთებ ხოლმე საქართველოში.

მერე თბილ ქვიშაზე ეგზოტიკური ხის ნავის ჩრდილქვეშ წამოვწექი. ნავი დიდ თევზს წააგავდა ადამინის ორი ლურჯი თვალითა და მთელ სხეულზე ინდური ორნამენტებით. პირდაპირ ნაჭუჭიდან გეახლებოდათ ქოქოსის ტკბილ წვეს და ამარენდრას რჩევას ვუსმენდი, რომ “მვირფას ქვებისა” და სხვა წვრილმანების ვაჭრებთან ყოველგვარი კონტაქტისგან თავი ამერიდებინა. ვიწექი და ვუსმენდი ტალღების დგაფუნსა და ჩაკრავორტის მოსაზრებებს კულტურათა დიალოგის შესახებ. მე ავუხსენი, რომ მსგავს ვაჭრუკანებთან ურთიერთობის გამოცდილება საქართველოში დავაგროვე და მშვენივრადაც გამომდიოდა. ამ სიტყვებით დაიმედებულმა ტუკუმ და ამარენდრამ ბედისა და ჩემი “ფხის” ანაზარა ნაპირზე დამტოვეს, მაგრამ რა წამს დამტოვეს, “ბუნებრივი” მარგალიტის, ზურმუხტის, მარჯნის, ფირუზის ყელსაბამებით და სხვა ნივთებით მოვაჭრეთა ალყაში აღმოვჩნდი. მათ მაიციანდამაინც არ დაუჟინებიათ, გინდა თუ არა, რამე შეიძინეო. მთავაზობდნენ, დავფიქრებულიყავი, დარწმუნებული ვარ, რომ არაფრის ყიდვა მინდა? თან ღირებულ რჩევებს მამღევდნენ, როგორ გამერჩია ერთმანეთისგან ბუნებრივი და ხელოვნური ქვები. ამასთან, ინდოეთის პოლიტიკასა და სოციალურ საკითხებზეც მსჯელობდნენ, უმოქმედობისთვის აკრიტიკებდნენ მთავრობას, რომელმაც არაფერი გააკეთა იმისთვის, რომ სიღატაკე დაემღია და მოსახლეობის დემოგრაფიული და ეკონომიკური ყოფა გაემჯობესებინა. ამ ყოვლისმცოდნე ადამიანებისგან ერთ-ერთმა ინდოეთისა და ყოფილი სსრკ-ს მეგობრობაც ახსენა და ამის დასადასტურებლად რამდენიმე რუსული სიტყვაც წარმოსთქვა. ბოლოს ისიც კი მითხრა, ჩემს ბედნიერებას საზღვარი არ ექნება, ერთ მშვენიერ დღეს საქართველოში თუ მოვხვდებითო. ამ დიდებული გამოსვლის შემდეგ მშვენიერი მწვანე ყელსაბამი მომაწოდა და პირადად ჩემთვის “ექსკლუზიური ფასიც” დაადო – 4 ათასი რუპია. მართალია, ამარენდრას რჩევა-დარიგება უმაღლესი გამახსენდა, მაგრამ მაინც სრულიად საპირისპიროდ მოვიქეცი. გამყიდველს ვუთხარი, რომ ამ სამკაულისთვის ათასი რუპიაც მშვენიერი ფასი იქნებოდა. ვაჭარი გარიგებაზე არ წამოვიდა. მაშინ განვუმარტე, რომ სხვა ფასად ყელსაბამს ვერ ვიყიდდი. ისიც დაუყოვნებლივ დამთანხმდა. გადავიხადე თუ არა

ათასი რუპია, კიდევ სამი ვაჭარი დამესხა თავს. მივხვდი, რომ გამოუსწორებელი შეცდომა დავუშვი, მაგრამ უკვე გვიანი იყო. საკმაოდ დიდი დრო დამჭირდა იმისთვის, რომ აბეზარი კეთილმოსურნეებისგან როგორმე თავი დამეღწია. იმ დღეს სახლში „ერთჯერადი მწვანე“ ყელსაბამით დავბრუნდი. ერთჯერადი იმიტომ იყო, რომ როგორც კი დასვლელა, მწვანე ფერი მაშინვე დაკარგა. ეს იყო პირველი და უკანასკნელი მცდელობა დამოუკიდებლად რამე შემეძინა პურში.

შვარგადვარ – ამაღლდი ზეცად!

შვარგადვარი ის ადგილია, სადაც მიცვალებულებს წვავენ და ფერფლს ზღვაში აჰნევენ. ამავედროულად, შვარგადვარი პურში სიცოცხლით სავსე და ყველაზე მხიარული ბულვარია. აქ ყოველ საღამოს ყოველი მხრიდან ინდური ჰანგები გაისმის. ეს გახლავთ იქაური მუსიკის, ავტომანქანების, ავტობუსების, რიკშებისა და მოტოციკლი-ტაქსების ისტერიული სიგნალების ნაზავი. ყოველი მათგანი ტრანსპორტის სავალ ნაწილზე თუ ტროტუარზე დაუდევრად მოძრავი არაორგანიზებული ბრბოდან თავის დაღწევას ცდილობს. სანაპიროს ბაზარი უცხოელების ყველაზე საყვარელი ადგილია. მთვარის შუქზე იგი მართლაც ზღაპრულ ქვეყანას წაგავს, სავსეს ჯადოსნური ნივთებით. ტურისტები აქ ოკეანის სუვენირების შესაძენად უკანასკნელ რუპიებს ხარჯავენ. ტრადიცია არც მე დამირღვევია. დავდიოდი დახლებს შორის, აღფრთოვანებული შევცქეროდი ოკეანის უზარმაზარ ნიჟარებს, იქაურ ხელნაკეთობებს და მინდოდა, ყველაფერი ერთბაშად შემეძინა, თან არ ვიცოდი, როგორ უნდა მომეხერხებინა ეს, ან ყოველივე როგორ უნდა წამეღო სახლში. წარმოდგენაც კი მნელია, როგორ უნდა მემგზავრა ამ სუვენირებით. ცოტა ხანში ექვსიოდე წლის ბიჭი მომიახლოვდა ნიჟარებისგან ხელნაკეთი სამკაულების გრძელი ასხმით და მთელი კოლექციის შეძენა შემომთავაზა. ავუსხენი, რომ მის მშვენიერ საქონელს ვერაფერში გამოვიყენებდი, თუმცა ბიჭი არ მომეშვა. “მადამ, მეგობრებისთვის მილიონი ტკბილეული რომ ჩაიტანოთ, ვერც ვერავის გააკვირვებთ და ცოტა ხანში თქვენი საჩუქრი აღარავის ემახსოვრება. აი, ამ ნიჟარებს თუ აჩუქებთ – სახსოვროდ სამუდამოდ დარჩებათ”, – მითხრა მან. გამოგიტყდებით, ეს იყო ყველაზე შთამეჭდავი გამოსვლა, რაც ამ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში მომესმინა. ამიტომ ბიჭს დავთანხმდი, სამკაულებიც შევიძინე და ბედნიერი გავემურე სანაპიროზე ღია ცის ქვეშ მოწყობილი კონცერტის მოსასმენად. ბენდის გარშემო უამრავ ტურისტსა და უცხოელს მოეყარა თავი ინდოეთის სხვადახვა მხრიდან. მუსიკოსები ინდურ ხალხურ მუსიკას ასრულებდნენ და ამასთან მაყურებლებს თანამედროვე ინდური ცეკვის ილეთებს ასწავლიდნენ. უცხოელები ყველანაირად ცდილობდნენ, მიეზამათ მუსიკოსებისთვის, რომლებიც ამ უჩვეულო სანახაობის მომსწრენი სიცილს ვეღარ

იკავდებდნენ. სულ რაღაც ნახევარ საათში, შეიძლება ნაკლებ დროშიც, “შოუ” დასრულდა. ჩვენ მოტოციკლი-ტაქსი დავიქირავეთ და შვარგადვარიდან სასტუმრო “მემკვიდრეობისკენ” გავემართეთ, სადაც ბატონი ჩაკრავორტი და მისი “ამალა” სადილზე ვიყავით მიწვეულნი.

სასტუმრო “მემკვიდრეობა”

პური ორიშას საყვარელი სანაპირო ქალაქია თავისი იდუმალი შარმითა და ცხოვრების იოლი სტილით. აქ უნიკალურად ერწყმის ერთმანეთს ცხოვრება და დასვენება, რაც მოსახლეობის უმეტესობისთვის, დაბალშემოსავლიანი კლასისთვისაც კი, ხელმისაწვდომია. უძვირეს სასტუმროებთან ერთად ქალაქში საშუალო ფასის ოტელებიც მრავლადაა, სადაც ხელსაყრელ ფასებში შეგიძლიათ კომფორტულად იცხოვროთ და შესანიშნავად გაერთოთ. გულწრფელად გითხრათ, განმაცვიფრა იმ ამბავმა, რომ სასტუმრო “მემკვიდრეობა” სწორედ მეორე კატეგორიას განეკუთვნებოდა. სასტუმრომ თავისი ბრწყინვალეობით, მედიდურობით და ფუფუნებით გამაოცა. ეს გახლდათ გემივით თეთრი, გრძელი, განივად ნაშენი, ორსართულიანი კარკასული შენობა. უზარმაზარი ღია ვერანდები მწვანე მოლს გადაჰყურებდა, სადაც ინდუისტური და ბუდისტური ქანდაკებები იყო აღმართული. ამ სასტუმროს ერთადერთი ნაკლი ის გახლდათ, რომ ოკეანის ნაპირიდან ოდნავ მოშორებით იდგა, მეტი არაფერი.

სასტუმრო “მემკვიდრეობა” თითქმის საუკუნისაა. იგი ინდოეთის რკინიგზის სახელმწიფო დეპარტამენტმა ააშენა. რკინიგზა ამ შენობას დღემდე ინახავს. ასაკის გარდა, სასტუმრო იმითაცაა ღირშესანიშნავი, რომ მასში ხელოვნების ნიმუშებისა და ისტორიული ნივთების უნიკალური კოლექციაა დაცული. ასევე, შთამბეჭდავია დიდი, ნათელი ოთახები, მაღალი ჭერი და კონსერვატული სტილის ავეჯი. კიდევ ერთი უნიკარლური რამ ამ სასტუმროში საბილიარდოა, რომლის ინტერიერიც საუკუნის განმავლობაში არასოდეს შეცვლილა. მაგიდები და სხვა აღჭურვილობაც დღემდე საუკეთესო ფორმაშია. ამჟამინდელი ადმინისტრაცია განსაკუთრებით უფრთხილდება სასტუმროს წმინდა ინდურ ატმოსფეროს და დეკორს. ატმოსფერო ისეთი უნდა იყოს, რომ ვესტიბულში ფეხის დადგმისთანავე სტუმარი უსაზღვრო სტუმართმოყვარეობასა და კეთილგანწყობას გრძნობდეს. სასტუმროს რესტორნების დიზაინიც ძველებურ კლასიკურ სტილშია გადაწყვეტილი. დიდი ბანკეტებისა და წვეულებებისთვის უზარმაზარი დარბაზებია განკუთვნილი თვალისმომჭრელი ჭაღებით. შედარებით მცირე დარბაზებში კი, ტრადიციულ, თეთრ სამოსში გამოწყობილი ოფიციანტების მომსახურებით, სტუმრებს შეუძლიათ საუკეთესო ინდურ სამზარეულოს

ეზიარონ. რაც უფრო მეტ ხანს ატარებ “მემკვიდრეობაში”, მით უფრო ღირსეულად და აღმატებულად გრძნობ თავს, ყოველი ნაბიჯი ინდოეთის ბრწინვალებასა და დიდებას გაგრნობინებს.

გზად ბუბანეშვარისკენ კონარკი

3 იანვარი, 2001 წელი – საუზმის შემდეგ პურს დავემშვიდობეთ და ბენგალის ყურისა და ურიშას შტატის დედაქალაქის – ბუბანეშვარის გზას დავადექით. იმდღევანდელი მარშრუტი კონარკ სურია მანდირის მონახულებას მოიცავდა. კონარკი ორიული (ასე ქვია ურიშას მოსახლეობას) სატაძრო არქიტექტურის დიდებას წარმოადგენს. მეცამეტე საუკუნის მზის ტაძარი ასევე შავი პაგოდის სახელითაა ცნობილი. ერთი სული მქონდა, როდის ვიხილავდი ხელოვნების სასწაულს, რომლის შესახებაც რაბინდრანათ თაგორმა თქვა: “აქ ქვათა ღაღადი კაცთა ენას ამარცხებს”. კონარკში ჩასვლას ორიოდ საათი დასჭირდა. გზატკეცილების გასწვრივ ბრინჯის უზარმაზარი მდელოები იყო გადაჭიმული. მოსავალი უკვე აეღოთ. რამდენიმე დღის წინ ამ ადგილს ქარბორბალამ გადაუარა, გაშიშვლებული ტყეები და გრიგალის შედეგად ჩამომტვრეულ-დაღეწილი ტოტები საკმაოდ მძიმე შესახედი იყო. მიუხედავად ამისა, სტიქიისგან იავარქმნილი გარემო ოპტიმიზმის საფუძველს მაინც იძლეოდა. გზადაგზა ავტომაქანიდან კარგად მოჩანდა იქაური სოფლების მოსახლეობის თავდაუზოგავი შრომა. ისინი ცდილობდნენ გადაერჩინათ ან ხელახლა აეგოთ ის, რაც ბოროტმა ქარიშხალმა იმსხვრეპლა. სატვირთო მანქანების გრძელი მწკრივი და ურმები დამტვრეული ტოტებითა და ქარისგან ტყეში წაქცეული საღსალამათი ხეებით იყო დატვირთული. მწკრივი ქარავანივით ნელა მიიირწეოდა იმ გზის გასწვრივ, რომელსაც დიდი კონარკისკენ მივყავდით.

ლეგენდის თანახმად, სამბა საკუთარი მამის – კრიშნას წყევლის გამო კეთრით დაავადებულა. სურიას, ღმერთის ვაჟს კი, რომლის სახლზეცაა ტაძარი აგებული, თორმეტწლიანი ეპიტიმიის შემდეგ სამბა სრულად განუკურნავს. ქრონიკების მიხედვით, განგის დინასტიის წარმომადგენელს, რაჯა ნარსიმჰადევას ტაძარი მეცამეტე საუკუნეში აუგია. ტაძარი, მისი საწყისი კონცეფციით დაწყებული და იდეის ხორცშესხმითა თუ უმშვენიერესი დეტალებით დამთავრებული, ადამიანის დიდებას წარმოაჩენს. იგი კოლოსალურ ეტლს ასახიერებს, რომელიც ოცდაოთხ ბორბალზეა შემდგარი და შვიდი შემართული ცხენი მიაქროლებს. სამწახნაგოვანი პირამიდისებრი სახურავი დახვეწილი კონუსით

ბოლოვდება. მზის ღვთაების ეტლი კვირის შვიდი დღისა და ოცდაოთხი საათის სიმბოლოა. ტაძარი ქვის ბრწყინვალე ქრონიკაა, შთამბეჭდავი ქანდაკებების მთელი წყებით. კონარკის ტაძარს ძირითადი კონსტრუქციისგან სრულად განცალკევებული ორი მომცრო დარბაზი აქვს. მთავარი დარბაზი და კოშკი სოლიდურ პლატფორმაზეა აგებული. მასზე თორმეტი წყვილი ბორბალია ამოკვეთილი და ამოჩუქურთმებული, თითოეული ათი ფუტი დიამეტრისაა. შესასვლელისკენ ფართესაფეხურებიანი კიბე მიიწევს ორივე გვერდიდან ყალყზე შემდგარი რაშებით. მთელი ეს სცენა მზის ღმერთის ეტლით ზეცისკენ ქროლვას გამოსახავს. ტაძრის ეზოში, ღვთაებათა გრანდიოზული ქანდაკებებია აღმართული.

ტაძრის ეზოს გარეთ ინდოეთის არქეოლოგიური კვლევის მუზეუმი მდებარეობს. მუზეუმში მზის ტაძრის ფრაგმენტები და ჩუქურთმის ნიმუშებია დაცული და ტურისტებისთვის იგი კონარკის ერთ-ერთი მთავარი სანახაობაა. ქვის არქიტექტურა ცხრა პლანეტის ღვთაებებს გამოსახავს. მათ შორისაა ნავარგრძასი, რომელიც თავდაპირველად ტაძრის ძირითადი შესასვლელის თავზე იყო განთავსებული, ახლა კი ცალკე აკლდამაშია დაცული.

სანამ მე არქიტექტურითა და ხელოვნებით ვიყავი აღტაცებული, იქაურობას ძვირფასი მანქანებით დამთვალეირებელთა უჩვეულო ჯგუფი მოადგა. მონუსხული, ერთად მოქუჩებული ხალხი ოვაციებითა და ტაშით შეეგება მათ. სტუმრები მიდიოდნენ და უკან მათხოვრებისა და ღარიბ-ღატაკთა გრძელი რიგი მიჰყვებოდა. თეთრ ეროვნულ სამოსში გამოწყობილი შუა ხნის მამაკაცი მანქანიდან გადმოვიდა და აღტკინებულ ადამიანებს სალამი უბოძა. გაცემულმა ვიკითხე, რა ხდება-მეთქი. აღმოჩნდა, რომ კონარკს ურიშას პრემიერ-მინისტრი და მთავრობის სხვა საპატიო პირები სწევოდნენ თაყვანის საცემად. ჩემი “საცოდავი” ფოტოაპარატით მზის ტაძრში შემავალ პრემიერ-მინისტრს რამდენიმე ფოტო გადავუღე და ადგილის კვლევა განვაგრძე.

ძალიან ცხელოდა, მაგრამ ერთი მოჩრდილული ადგილი მაინც ვიპოვნე ბებრი ლეღვის ხის ქვეშ. ხანდაზმულობისგან ხეს ფესვები ჰაერში ჰქონდა გადმოკიდებული მიწამდე და საჩრდილობელსაც ამ ფესვებს შორის წარმოქმნილი მყუდრო “ფულურო” ქმნიდა. მართალი გითხრათ, სად ჰქონდა ამ ლეღვის ხეს ტანი, ვერც კი ვხედავდი. ფულურო შესანიშნავი მოჩრდილული ადგილი აღმოჩნდა განმარტოების, დასვენებისა და შთაგონებისათვის. “იცოდი, ბუდას მედიტაციის ადგილად ლეღვის ხის (ბანყ ტრეე) საჩრდილობელი რომ ქჰონდა არჩეული?” - მკითხა ჩაკრავორტიმ. დიახ, მე ვიცოდი ამის შესახებ, რომ მედიტაციით ბუდა

სწორედ ხის ქვეშ იყო დაკავებული, თუმცა დარწმუნებული ვიყავი, რომ ის ხე ბაობაბის იყო და არა ლელვისა. მიუხედავად ამისა, “ფულუროში” წუთით მაინც განვმარტოვდი. ფესვების სქელი ფარდის მიღმა გავცქეროდი ნაშუადღევის მზის ქვეშ მოზრდღვიალე კონარკს. თვალმართლივ ვჭკრეტდი, რომ ეს დამაბრმავებელი სილამაზე ასევე დიდებული ადამიანების სიბრძნის, ნიჭის, ოსტატობის, ძალისხმევისა და ღირსების ნაყოფი იყო. მხოლოდ ამათ შეეძლოთ ტაძარისთვის თვითმყოფადობისა და მარადიულობის მინიჭება. კონარკის დიდება საუკუნეებს კი არა, ათასწლეულებს მოიცავს. დიდებული ადამიანების ნაღვაწით შთაგონებული კონარკის მკვიდრნი სიმღერებში, პოემებსა და ლეგენდებში კვლავ ხოტბას ასხამენ მათ და ამბობენ: ”ისინი ღმერთები არიან!”

უდაიგირი

ორიშას უდიდესი ბუდისტური მხარე უდაიგირი (ბუბანეშვარისგან 1000 კმ-ის დაშორებით), რომელიც რათნაგირიდან 5 კმ-ზე მდებარეობს, მაღალი მთის ძირში, ძველ დროში მადჰავაპურა მაჰავიჰარას სახელით იყო ცნობილი. ამასწინათ ამ ადგილას წარმოებული არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოაჩინეს აგურით ნაშენი სამონასტრო კომპლექსი, სადაც რამდენიმე ფასდაუდებელი ბუდისტური ქანდაკება ინახებოდა. და მაინც, უდაიგირიში ღრმად ჩამარხული სიმდიდრე ჯერაც დამალულია გარე სამყაროსათვის.

როგორც ამბობენ, უდაიგირის მონასტრებში ცხოვრება დუღდა VII-XII საუკუნეებში. აგურის გუმბათის ფორმის ყორღანი, რომელიც ბუდისტური საკურთხეველის ფუნქციას ასრულებდა, აგურის ორი მონასტერი (ერთი არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი, მეორეს დღის სინათლე ჯერ არ უნახავს), ქვის ჭა წარწერებით და რამდენიმე დეტალიზებული ქვის ქანდაკება, რომლითაც მორთული იყო მთის მწვერვალი, ქმნის ამ ისტორიული ადგილისა და ყველა არქეოლოგიური საგანძურის კარიბჭეს. ქვის ქანდაკებებს შორის აღსანიშნავია ბუდჰისატვა და დჰაიანი ბუდას რამდენიმე არაჩვეულებრივი ფიგურა.

135 ფუტის სიმაღლის უდაიგირისა და 118 ფუტის სიმაღლის ხანდაგირის მთებზე ძველი გამოქვაბულებია, რომლებიც კალინგას მეფეს, ხარაველას აუგია ძვ.წ. I-II საუკუნეებში ძენ ბერებისთვის. აქ შემონახულია ძენის გამოქვაბულის მხატვრობის შესანიშნავი ნიმუშები.

ზეობის წამი დადგა მაშინ, როდესაც ქვაში გამოკვეთილი ძველი ქალაქის კარიბჭესთან აღმოვჩნდი – ქალაქისა, რომელიც ისე შთამბეჭდავად იყო აღწერილი ჩემს საყვარელ ბავშვობის წიგნში - „მაუგლიში“.

გასაოცარი ის გახლავთ, რომ ყველა ლეგენდა, რაც კი ამ ქვეყნის შესახებ გსმენიათ, ნამდვილია და დღესაც აგრძელებს სიცოცხლეს. ამას აუცილებლად იგრძნობთ ინდოეთში მოგზაურობისას. და მაინც, ნებისმიერ დროს, როცა ეს სინამდვილე თქვენს წინაშეა, შეუძლებელია თავი შეიკავოთ მისი მნიშვნელობის გააზრებისაგან. განა ბავშვობაში ოდესმე წარმოვიდგენდი, რომ ერთ მშვენიერ დღეს მეც ვისერიწებდი ამ იდუმალებით მოცულ მკვდარ ქალაქში და იმ მაიმუნებსაც ხელიდან ვაჭმევდი („მაუგლიში“ მათ ბანდერლოგები ჰქვიათ), რომლებიც სასახლის სრული ბატონ-პატრონები არიან?!

ბუბანემგორის გზაზე დასახლება პიპლია. პიპლი დახვეწილი აპლიკაციური ხელოვნებითაა სახელგანთქმული. ამ ხელოვნებაში ორიშას კულტურის არსია გამოხატული. ამ მხარეში ამზადებენ, ასევე, ყველაზე ფერადოვან და ორიგინალურ ტენტებს, ჩარდახებს, ბაღებისა და პლაჟის ქოლგებს, ჩანთებსა და ხელჩანთებს. ფერთა ცისარტყელასებური ციალი ზეიმის განწყობას გიქმნის.

ბუბანემგარის გზისპირა მარჯვენა მხარეს და ტროტუარებზე ქვის მთელეთა სახელოსნოებია ჩამწკრივებული. ერთ ასეთ სახელოსნოსთან გავჩერდით და ვუყურებდით, თუ როგორ უბრუნდებოდა ლეგენდას სიცოცხლე ქვაში. ეს იყო წმინდა შემოქმედებითი პროცესი. ხელოსნები ამას ისე ბუნებრივად და სხვათაშორის აკეთებდნენ, ამას ხომ მეც იოლად გავაკეთებო – იფიქრებდა კაცი. აქ ცოცხალი ოსტატის მიერ შექმნილი მინიატურა „პატარა კრიშნა“ ბევრად უფრო იაფი ღირს, ვიდრე პლაჟის ბაზარზე გამოტანილი იაფფასიანი სუვენირები. როდის იყო ხელოვანი ვაჭრად ვარგოდა, არც ოსტატებს ეხერხებათ მაინც და მაინც ეგ საქმე.

რას ამბობს დაია?

ორიშას წერილობითი ისტორია იმპერატორ აშოკას მიერ კალინგას (ორიშას) დაპყრობით იწყება – ძვ.წ. 260 წელს. ამ დაპყრობითმა ბრძოლამ სამი დიდი სახელმწიფო ჩაითრია და მდინარე დაია კალინგას მაცხოვრებელთა სისხლით შეღება. ბრძოლის შედეგად სამი დიდი სახელმწიფო გამოიკვეთა. დიდი იმპერატორის განუკითხავმა ძალაუფლებამ და ცივსისხლიანმა მმართველობამ აშოკა მონანიებით აღავსო. მან ბუდიზმი მიიღო და მთელი თავისი ქონება ღარიბ-ღატაკთ დაურიგა. მედიტაცია და არაძალადობისადმი მკაცრი ერთგულება მისი

დარჩენილი ცხოვრების კრედო გახდა. ერთ-ერთ გორაკზე, რომელიც ბრძოლის ველს და ტრაგედიის მდინარეს - დაიას გადმოჰყურებს, იაპონელმა ბუდისტებმა მონასტერი ააგეს. ეს მონასტერი არის სიმბოლო მშვიდობის, წყალობის და ტოლერანტობისა მთელ მსოფლიოში. გორაკზე ავედით და დაიას გაშლილ ველებს გადავყურებდით. მთელ მიდამოს ღვთაებრივ სიმშვიდეს ანიჭებდა ციდან დაშვებული ღრუბლები და უზარმაზარი ფრთების მსგავსი სუსტი ნისლი, რომელიც უდრტვინველად მიიზლანებოდა მოლივლივე მდინარესა და გორაკს შორის. ტკბილად ჭიკჭიკებდნენ ჩიტები და დაიაც რაღაცას ბუტბუტებდა მისტიკურ, პრეისტორიულ ენაზე, რომელიც არცერთ ჩვენგანს არ გვესმოდა.

გვიან საღამოს მივაღწიეთ ბუბანეშვარს – დიდ, გადატვირთულ ქალაქს, მოკაშკაშეს და ლამაზად განათებულს. დუსა და ტკბილი იოგურტი გეახელით სწრაფი კვების რესტორანში. ცოტა ხნით შევისვენეთ, მერე კი სწრაფად გავეშურეთ ბუბანეშვარის რკინიგზის სადგურისაკენ, რათა კალკუტაში მიმავალი მატარებლისთვის მიგვესწრო და იქიდან დაიწყო ინდოეთში ჩვენი დიდი მოგზაურობის მეორე ეტაპი – “ჰიმალაები” - დაგვეწყო.

ნაწილი მესამე

დარჯელინგში რომ წახვალ, კურსეონგში შეისვენე და კურსეონგის ტურბაზაში ცხელი მომო მიირთვი!

თორმეტსაათიანი შეფერხების შემდეგ, როგორც იქნა, მივაღწიეთ პატარა და ძალიან ჭრელ (ბევრი ხალხით დასახლებულ) ქალაქ შიელარს. საშინლად დაღლილები ვიყავით და გადავწყვიტეთ, ღამე ქალაქის ერთ-ერთ სასტუმროში გაგვეთია და ჩვენი მოგზაურობა ჰიმალაებისკენ მეორე დილას გაგვეგრძელებინა.

ერთი ფინჯანი არომატული ღამის ჩაი დავლიე ნამცხვრით, რომელიც ბატონმა ჩაკრავორტიმ ჩემთვის შეუკვეთა. უკვე დამინებას ვაპირებდი, სასტუმროს მსახურმა კარზე რომ მომიკაკუნა, ლოგინის გასაშლელად შემოვიდა. ერთი სანახაობა იყო: მან საწოლის გარშემო ოთხი ჯოხი დაამაგრა და კოლოების ბადით კარავი აღმართა. პირველად დავიმინე კოლოების ბადის ქვეშ. ოთახი მქრქალი ვარდისფერი კვამლით იყო გაჟღენთილი, კუთხეში კოლოების საწინააღმდეგო აბი ბჟუტავდა.

ჩამთვლიმა, ძილში ძალიან უცნაური ადგილები და ჩვენებები მესიზმრებოდა.

ხუთ იანვარს „მისტიკური“ ქალაქი შიელარი დავტოვეთ და დარჯელინგის გზას გავუდექით. დარჯელინგი საკვირველი სილამაზის მხარეა, რომელსაც გვირგვინად დიადი ჰიმალაები ადგას. ფეხი დავდგით თუ არა დიდებული მთის მიწაზე, იანვრის დილის მშვენიერება შევიგრძენით. სუფთა ჰაერი, ულურჯესი ცა და მიწა – მოფენილი ბაღებით, სადაც ზურმუხტისფერი მწვანე ჩაის ბუჩქები ხარობდა და წყნარი და მშვიდი ოკეანის ხატებას ქმნიდა. საკმაოდ თბილოდა, ჩვენი პატარა ყვითელი ფურგონის ფანჯრები ჩამოვწიეთ და მთის ჰაერის წმინდა და მაცოცხლებელი ძალით ვტკბებოდით. თავბრუდამხვევმა, მიხვეულობოვებოდა გზამ ჩვენი ფურგონი ჰიმალაების ლამაზ ქალაქში, სახელად კურსეონგში აიყვანა.

„კურსეონგი“, იგივე „კპარსანგ“ ლეპჩას ენაზე „თეთრი ორჰიდეების მიწას“ ნიშნავს. აქ მთელი წლის განმავლობაში რბილი და უაღრესად ჯანსაღი ჰავაა. საამო და სასარგებლო კლიმატი, ნორჩი მწვანე ტყეები და ჩაის ბუჩქებით მოფენილი თვალუწვდენელ სიგრძეზე გაშლილი ხეობები, მთაგორები უჩვეულო მცენარეულობის ნაზავით საოცრად შთამბეჭდავ და დასამახსოვრებელ სურათს ქმნის, შესანიშნავი მასალაა ნებისმიერი პეიზაჟისტისთვის.

კურსეონგის უშფოთველობა, სიწარმტაცე, შერწყმული შეურყვნელ, სუფთა გარემოსთან და დიად ჰიმალაებთან მუდამ თანა გდევთ. ამ ხატებამ მრავალი კეთილშობილი ადამიანი მიიზიდა. აქ ადამიანს ბუნებასთან სწორფრობის შეგრძნება და ჭეშმარიტი სიმშვიდის განცდა ძალუძს. გურუ რაბინდრანათ თაგორის ბევრი ლიტერატურული თხზულების შთაგონების წყაროდ სწორედ ეს ადგილი იქცა. მარკ ტვენსაც გაუტარებია დაუვიწყარი დღეები კურსეონგში 1885 წელს.

სამხარის დრო მოახლოებულიყო, როცა კურსეონგის ტურბაზის შესასვლელთან შევჩერდით, რომელიც დარჯელინგისკენ მიმავალ გზაზეა განთავსებული. ტურბაზას აქვს ნაირგვარ სამზარეულოთა ნაზავი რესტორანი, ნატიფი დეკორაციებით მორთული ბარი და „სწრაფი კვების“ ცენტრი. რესტორნის აივანზე პატარა მაგიდა შევარჩიეთ, რომელიც გადაჰყურებდა დარჯელინგის სახელგანთქმულ „სათამაშო მატარებლის“ გზას და ფერწერული სილამაზის მიმოზნეულ გორაკებს. მერე გემრიელი ცხარე ქათამი და ცხელი მომო გეახელით, რომელიც შესახედავად და გემოთიც ჩემს მშობლიურ ხინკალს ჰგავს. და ერთი წუთით წარმოვიდგინე, თითქოს ბუხრის პირას ვიჯექი ქართული და ინდური

მითოლოგიიდან გადმოსულ ჩემს საყვარელ გმირებთან ერთად. ისინი საერთო ენაზე საუბრობდნენ, მუსიკის, სიყვარულის, ურთიერთგაგების ენაზე. მე კი მათ ალტაცებით შევცქეროდი, ვტკბებოდი მთიდან მონაბერი მაცოცხლებელი სიოს საამო ქროლვით და დარჯელინგის სურნელოვან ჩაის ვაგემოვნებდი.

კურსეონგის გზით დარჯელინგში მისვლა ადვილია, მაგრამ თუ თავგადასავლების მოყვარული ბრძანდებით, მაშინ მიმზიდველი „სათამაშო მატარებლით“ უნდა იმგზავროთ. ორთქლმავალმა და ავტოტრანსპორტმა ბოლო ასი წლის განმავლობაში აქ ბევრი ვერაფერი შეცვალა. მატარებელი, რომელიც ზევით წრიული და ზიგზაგებიანი ლიანდაგით ადის, ინჟინერიის სასწაულია. ამ სარკინიგზო ხაზის უკიდურესი წერტილია გუმის რკინიგზის სადგური (7407 ფუტი) – მსოფლიოში ყველაზე მაღალი. მოგზაურობის ხანგრძლივობა 7 საათზე მეტია.

თუმცა დარჯელინგისკენ მიმავალი ვიწრო და მრუდე გზაც არანაკლებ წარმტაცია. გველისებურად დაკლაკნილი, იგი მწვანე ტყეებისა და ჩაის ბაღების კიდეს მიჰყვება. ჩვენი პატარა ფურგონი ისეთ სიმაღლეზე ავიდა, იქიდან გადმოხედვაც კი თავზარდამცემი იყო. და მაინც საშინელი ცდუნება (არა, ცდუნებაზე უფრო მეტიც) იყო ლიანდაგის გარშემო დაკლაკნილი გზის ყურება. ყოველ მოსახვევში უზარმაზარი ლურჯი კერამიკული ჩაის ფინჯანი იდგა თავის კვარცხლბეკზე და მუცელზე ლამაზად მოხატული წარწერებით მოგვიწოდებდა, დაგვეცვა ბუნება, შეგვეყვარებინა ერთმანეთი, გვეხსნა ჩვენი სულები და სხვა და სხვა.

დარჯელინგიდან შვიდიოდე კილომეტრის დაშორებით, გუმის გზაზე სამთენ ჩოლინგის მონასტერია. ამარენდრამ მძღოლს სთხოვა, ჭიშკართან გაეჩერებინა. მისი სამოგზაურო ჟურნალის - „ბრაჰმანის“ 2000 წლის დეკემბრის ნომერში უაღრესად შთამბეჭდავი სტატია დაიბეჭდა იმ ძირითად რელიგიურ დღესასწაულებზე, რასაც ამ მონასტერში აღნიშნავდნენ. ამარენდრამ გვითხრა, რომ ეს სტატია და ფოტოები ლამებისთვის უნდოდა ეჩვენებინა. ასე რომ, მე და ტუკუს მონასტრის დათვალიერების შესაძლებლობა მოგვეცა. შესანიშნავი აზრი იყო. ახალგაზრდა ლამამ დორჯი ბჰუტამ გულთბილად მიგვიღო, მშვენიერი მეგზურიც გამოდგა. პირველი, რაც მონასტრის შესახებ შევიტყვეთ, ის იყო, რომ იგი გელუგპას ეკუთვნოდა ყვითელი სექტიდან. ლამა დორჯი ძალიან სტუმართმოყვარე იყო და როცა ჩვენი ექსკურსია დასრულდა, ერთ ფინჯან მარილიან და კარაქიან რძეზე მიგვიპატიჟა. ჩემთვის ეს დიდი პატივი იყო: ბუდისტური მონასტრის სრულიად უბრალო და მოკრძალებულ სასადილო ოთახში თუ სამზარეულოში ვიჯექი და მეგობრულად ვესაუბრებოდი მის „მსახურს“ ხან რაზე და ხანაც - რაზე, უბრალოდ – ცხოვრებაზე. მაგრამ,

არის ერთი „მაგრამ“: ოდესმე ეს გაუსაძლისი მარილიანი და კარაქიანი რძე თუ გაგისინჯავთ? ჩემი აზრით, მხოლოდ ბუდისტი ბერები არიან გონებრივად და ფიზიკურად გამობრძმედილი და მომზადებული მის დასაღევად.

დარჯელინგი – მთის სადგურების დედოფალი

“დარჯელინგი ჭეშმარიტი არჩევანია” – წერია დარჯელინგის მთავარი შესასვლელი გზის ორივე მხარეს. აქ არის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი მთიანი მასივი. ეს ღვთაებრივი სავანე ნაირფერადაა განფენილი. აღმოდებული წითელი როდოდენდრონები, თეთრი მაგნოლიები, ზურმუხტისფერი მწვანე ბუჩქებით დაფარული ტალღოვანი გორაკების გრძელი ჯაჭვი, ვერცხლისფერი ნაძვების ეგზოტიკური ტყეები – ყველაფერი ღრუბლის ფთილებით დაწინწკლული განსაცვიფრებელი ლაჟვარდისფერი ცის ზეწარშია გამოხვეული და კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ დარჯელინგი მთის სადგურების დედოფალია.

სახელი „დარჯელინგი“ მოდის ტიბეტური სიტყვიდან - „დარჯე“, რაც ნიშნავს „ძვირფას ქვას“ ან „სამღვდლო“ სკიპტრას, რომელიც ინდრას ჭექა-ქუხილის ემბლემია; „ლინგ“ კი ადგილს, სამყოფელს აღნიშნავს. აქედან გამომდინარე, დარჯელინგი ჭექა-ქუხილის სამყოფელია. როგორც ამბობენ, ინდრას სკიპტრა სწორედ იქ ჩამოვარდნილა, სადაც ახლა ობსერვატორიის მთაა წამოჭიმული. ამ მთიდან შთამბეჭდავი სანახაობა იშლება. ამასთან, მთას უდიდესი რელიგიური მნიშვნელობა აქვს ჰინდუებისთვისაც და ბუდისტებისთვისაც.

7 და 8 იანვარი ინდური ტურიზმის ცენტრის სასტუმროში გავატარეთ. სასტუმრო მთის წვერზეა აღმართული. პირდაპირ ჩვენი საძინებლების ფანჯრებიდან ვტკბებოდით კანჩენჯანგას თოვლიანი ხედებით. დღიურში ჩავწერე: “ჩემი არჩევანი რომ იყოს, აქედან არასოდეს წავიდოდი”. თარიღი: 7 იანვარი, 2001, დარჯელინგი. დილის 11 საათი.

დილით მოვინახულეთ ჰიმალაების მთამსვლელთა ინსტიტუტი და პადმაჯას ნაიდუ ჰიმალაების ზოოლოგიური პარკი, სადაც ახლახან დაიდეს ბინა ციმბირულმა ვეფხვებმა. აქვე ღია ვოლიერებში ცხოვრობენ ჰიმალაის შავი დათვები, წითელი პანდები, თოვლის ლეოპარდები და სხვადასხვა ჩიტები. მთამსვლელთა ინსტიტუტის პირველი დირექტორი ევერესტის ცნობილი დამპყრობელი დიდი შერპა თენსინგ ნორგეი გახლდათ. აქ არის მუზეუმი, რომელშიც მთამსვლელთა აღჭურვილობის საინტერესო კოლექციაა დაცული. თენსინგ ნორგეის სახელს კიდევ ერთი ინსტიტუტი უკავშირდება – თენზინგის კლდისა და გომბოს კლდის

ალპინიზმის ინსტიტუტი, სადაც კლდეზე ცოცვის დამწყებთა კურსების გავლაა შესაძლებელი.

ხეივანში სწრაფი კვების ერთ-ერთ რესტორანში ვისადილეთ, მერე გავეშურეთ ინდოეთის პირველი საბაგირო გზისაკენ, რომელიც ქალაქიდან დაახლოებით 3 კილომეტრითაა დაშორებული. მას დარჯელინგის “რანეტ ველის” სამგზავრო საბაგირო გზას ემახიან. ადგილი ლამაზია, ხედი – კიდევ უკეთესი, მაგრამ საბაგირო გზა დაკეტილი დაგვიხვდა, არემონტებდნენ. და გასეირნების მომაჯადოებელი განცდა ვეღარ შევიგრძენით.

ნაწილი მეოთხე

სიკიმი

ამოხსენით სიკიმი – ჰიმალაების საიდუმლო

ნამდვილად ვეღარ წარმოვიდგენდი, თუკი ოდესმე დარჯელინგსა და მის მომაჯადოებელ შემოგარენზე უფრო ამაღელვებელს ვნახავდი რამეს. ინდოეთში მოგზაურობის დროს სულ უნდა გახსოვდეს, რომ ახალი და ყველაზე დიდი სიურპრიზები ყოველთვის წინაა, მაშინაც კი, როდესაც უკვე ისედაც მთვრალი და გაბრუებული ხარ ამ ქვეყნის ბუნებრივი სილამაზითა და გრანდიოზულობით. საკუთარ თავზე რამდენჯერმე გამოვცადე ეს გრძნობა. ერთხელ, როცა ორიშაში – გრანდიოზული ტაძრების მიწაზე დავადგი ფეხი და მერე – დარჯელინგში, იმ საკვირველი სილამაზის მხარეში, რომელსაც გვირგვინად დიდებული ჰიმალაები ადგას.

8 იანვრის დილას დავემშვიდობეთ დარჯელინგს და გზა ინდოეთის სხვა სახელმწიფოსკენ – სიკიმისკენ გავაგრძელეთ. სიკიმი დასავლეთიდან ნეპალსა და აღმოსავლეთიდან ბუტანეს შორის არის მოქცეული. მისი ჩრდილოეთის საზღვარი ტიბეტის პლატოს გადასცქერის, სადაც სამხრეთიდან დასავლეთი ბენგალი ესაზღვრება. სიკიმი მონუმენტური მთების მხარეა. ეს მთები დიდი მთის ქედის – ძლევამოსილი ჰიმალაების ნაწილია. კანჩენჯანგას, მსოფლიოში სიმაღლით მესამე მთა, მედიდურად დასცქერის გარშემო შემოკრებილ უფრო მცირე ზომის მთებს, როგორც ღმერთი უფრო დაბალი რანგის ღვთაებებს.

კანჩენჯანგას მწვანედ აბიზინებული ხეობებისკენ გადაუშლია ძლევამოსილი მხრები, მისი დანახვა სიკიმის ნებისმიერი მხრიდან არის შესაძლებელი. მთის მეორე ქედი ტისტას და რანგიტის ველებს განაცალკევებს და ბოლოს ორი მდინარის პირს აერთიანებს. აქ ჰავა ცხელი ტროპიკულიდან მშრალ არქტიკულამდე მონაცვლეობს. ამ არაეთგვაროვან ტერიტორიაზე მრავალი გარეული ცხოველი ბინადრობს, მაგალითად, მანგუსტი და წითელი პანდა. მრავალფეროვან ფაუნას ფლორის ნაირსახეობაც ემატება. რას აღარ შეხვდებით: ფურისულადან დაწყებული და მაგნოლიათი დამთავრებული. აქ გავრცელებულ მცენარეებს სხვადასხვა ბუნება და ზრდის პირობების აქვს. მათი თანაცხოვრება კალეიდოსკოპურ სურათს ქმნის.

სიკიმში გადაადგილების მთავარი საშუალება საავტომობილო გზაა. ბევრს მატარებლით არც კი უმგზავრია აქ. მიუხედავად ამისა, სიკიმი მოხერხებულადაა დაკავშირებული ქვეყნის დანარჩენ ნაწილთან რკინიგზითა და საჰაერო ხაზით, შილიგურის გავლით. ეს გახლავთ დასავლეთი ბენგალი, სიკიმის სახელმწიფოს დედაქალაქიდან – განგტოკიდან 115 კმ-ის დაშორებით. დარჯელინგს განგტოკთან ორი ცნობილი გზა აერთებს. ერთი მათგანი უფრო მოკლეა, მაგრამ ციცაბო, პეშოკეს გავლით. მეორე – მონგპუს გზა, უფრო გრძელია. ჩვენ მოკლე გზა ავირჩიეთ, რომლის გავლაც მხოლოდ პატარა მანქანით არის შესაძლებელი. მანქანის ფანჯრიდან სახელგანთქმული ლაფრუს ჩაის ბაღები და მარადმწვანე კრიპტომერიის ტყეები მოჩანდა. ამ გზის პარალელურად მოედინება მდინარე ტისტა. ეს ერთ-ერთი იმ მდინარეთაგანია, რომელიც თითქმის მთელი სიკიმის სიგრძეზე მიედინება, გველივით მიიკლავნება, ღრმა ხეობებსა და შენაკადებში იკაფავს გზას. მთავარი შენაკადი მდინარე რანგიტია, რომელიც სიკიმსა და დასავლეთ ბენგალს შორის მდებარე საზღვრისპირა რეგიონს სიკიმთან აერთებს. იქ, სადაც მდინარეები ერთად მიედინებიან, საოცარი ტრანსფორმაცია ხდება. მდინარე ტისტა ძლევამოსილ ზურმუხტისფერ ნაკადად გარდაიქმნება. სიკიმსა და დასავლეთ ბენგალს შორის მოთავსებულ სასაზღვრო ზონას რომ მიუახლოვდებით, მდინარე გაფართოებული და ქვებისგან თავისუფალი დაგხვდებათ; დისტას მთელ ამ მონაკვეთზე რაფტინგის შეჯიბრებები იმართება. მდინარის ნაპირებზე ერთმანეთის მიყოლებით კარგად მოსჩანს რაფტინგის თეთრი კარვები და ბანაკები. სიკიმში ჩვენი სტუმრობა ტისტას ჩაის ტურიზმის ცნობილი ფესტივალის დასკვნით ეტაპს დაემთხვა, რომელიც ჰიმალაების სამ რეგიონში ტარდება: დარჯელინგიში, სიკიმსა და დორსში.

განგტოკისკენ მიმავალ გზაზე დიდებული სანახაობები შეგხვდებათ; დიდ ნაწილს გზიდანაც კი შეამჩნევთ. უპირველეს ყოვლისა, შემოგხვდებიან

აქაურობის უველაზე პოპულარული და სახალისო მკვიდრნი – მაიმუნები. მაიმუნების ჯოგები პატარ-პატარა თემებად ცხოვრობენ და გზის საკმაოდ დიდ ნაწილს “აკონტროლებენ”. ისე იქცევიან, თითქოს ამ ტერიტორიის უზენაესი მმართველები იყვნენ. სულაც არ აქცევენ დიდ ყურადღებას გამვლელ მანქანებს და მათზე მიშტერებულ მგზავრებს. არც იმ “ველურ” წამოძახილებსა და მხიარულ მისალმებებზე რეაგირებენ, მანქანის ფანჯრებიდან რომ ესმით. ამ მაიმუნებმა კარგად იციან ადამიანის ბუნება და ადამიანური ქცევის შესანიშნავი ექსპერტებიც არიან. იციან, რომ დიდხანს ხმა არ უნდა ამოიღონ და, როგორც წესი, იქამდე დაიცადონ, სანამ ვინმე რამე კბილის გასაკრავს არ გადაუგდებს. თუმცა არც ამ “მღვენის” დათრევაში ხარჯავენ დიდ დროსა და ენერგიას. გაგიკვირდებათ, ისე გულდასმით ამოწმებენ მათთვის გადაგდებული საკვების სისუფთავეს და ვარგისიანობას. თავად შევესწარი, თუ როგორი მონდომებით წმენდდა ერთი პატარა მაიმუნი ნამცხვარს თავისი ბანჯგვლიანი ხელით, მერე სულს უბერავდა და ნამცხვარს მხოლოდ ამ მხიარული ცერემონიალის შესრულების შემდეგ მიირთმევდა.

ტაში დელეკი

შუადღისას სასტუმრო „ტაში დელეკში“ ჩავედით. „ტაში დელეკი“ სიკიმელთა ენაზე „კარგ იღბალს“ ნიშნავს. სიკიმის მკვიდრი ამ ფრაზას სადღეგრძელოს წარმოთქმის დროს ამბობს, როცა ვინმეს უსურვებს კარგად ყოფნას, ან კიდევ მაშინ, როცა მეგობრებს მიესალმება. სასტუმროს მომსახურე პერსონალი განგტოკში ჩასულ სტუმრებს ამ განწყობითა და ფრაზით ეგებება. ბატონმა ჩაკრავორტიმ ბევრი რამ მიაშმო სასტუმრო ტაში დელეკის 90 წლის მარუარელი მფლობელის ამაღელვებელი თავგადასავალის შესახებ. მას ახალგაზრდობაში მამაცი და პატიოსანი ვაჭრის სახელით იცნობდნენ, ჯორების ქარავანთან ერთად მოგზაურობდა ნათულას უღელტეხილის გავლით და ტიბეტს მარილით ამარაგებდა. ნათულას გზაზე ჩინეთისა და ინდოეთის სასაზღვრო ძალები ერთმანეთის პირისპირ დგანან. თავისუფლად შეგიძლიათ დაინახოთ, როგორ უმზერენ ისინი ერთმანეთს, ისე ახლოს არიან, რომ ერთმანეთის სუნთქვაც კი ესმით. ტურისტებისთვის მათთან მიახლოება ახლა ნებადართულია.

ნათულას უღელტეხილი განგტოკიდან ხუთი-ექვსი კმ-ის მანძილზე მდებარეობს, ზღვის დონიდან 14 200 ფუტის სიმაღლეზე. ტიბეტის პლატო არის საზღვარი ინდოეთსა და ჩინეთს შორის. ნათულასა და ჯალეპლას უღელტეხილები 1962 წლამდე ინდოეთსა და ტიბეტს შორის გამავალ ისტორიულ სავაჭრო გზაზე იყო წამომართული. უღელტეხილის სიგანე დაახლოებით ერთნახევარი კილომეტრია. უღელტეხილის წყნარი მონაკვეთი სულ ახლახან გაიხსნა ტურიზმისათვის. ის მდიდარია ალპური

ფლორის მრავალსახეობებით. ნატიფი ფურისულები და უნიკალური ჰიმალაური სატაცური არის მაგალითი იმ ეგზოტიკური სახეობებისა, რაც აქ გვხვდება. დაკვირვების წერტილი, საიდანაც ჩინელების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე გადახედვა შესაძლებელია, ამ მხარის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და დაუვიწყარი სანახაობაა. ნათულა დღემდე ჰიმალაების უდიდეს, კარგად დაფარულ საიდუმლოს ატარებს და ტაში დელეკის სასტუმროს მეპატრონე (რომლის სახელიც, სამწუხაროდ, არ ჩამიწერია, მეხსიერებიდან კი ამომვარდა) ამ საიდუმლოს უშუალო მოწმე გახლავთ. მე მასთან შეხვედრა და მისი თავგადასავლების მოსმენა მინდოდა, მაგრამ ჩვენი იქ ყოფნის დროს ქალაქში არ იმყოფებოდა. მიუხედავად ამისა, იქაურმა განწყობამ და სრულიად განსხვავებულმა ატმოსფერომ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე და ეს შთაბეჭდილება ძალიან დიდხანს გამყვა. სასტუმრო ეგზოტიკური და საოცრად კომფორტული გახლდათ, მთელი ამ იდუმალებითა და “დაფარული სამოთხის” მახეებით მოცული. დიდი და სიკიმის ტრადიციულ სტილში გაწყობილ მდიდრულად მორთულ სასტუმროში გულთბილი სტუმართმოყვარეობით დაგვხვდნენ. “ტაში დელეკის” ოთახებს დიდი მთების სახელები ჰქვია – სიკიმი, კანჩენჯანგა, კაბრუ, პანდიმი, ტალუნგი, ჯონგონგი და სინიოლჩუ.

ძალიან გულგრილი ტურისტი უნდა იყო, რომ არ დაინტერესდებოდა მიზეზით, რომლის წყალობითაც დაუპყრობელი დარჩა სიკიმის მწვერვალთა უმეტესი ნაწილი. ბებერი აზრდილი, სიკიმის მწვერვალს რომ იცავს, ჰიმალაების ნისლის სქელ ბურუსში გაგხვევთ და ტკბილ იავნანას გიმღერებთ „ხუთი საგანძურის სახლებზე“. მისი სახელი მომდინარეობს კანჩენდჰონგადან. ეს იმ მწვერვალის სახელია, სადაც ღმერთების კუთვნილი წმინდა საგანძური ინახება. სიკიმის მკვიდრთათვის ეს მთები წმინდაა. მათ სჯერათ, რომ მთები თავიანთ სიწმინდეს დაკარგავენ, თუკი მათ მწვერვალებს ვინმე დაიპყრობს.

ტაში დელეკის სასტუმრო განგტოკის შუაგულშია განთავსებული. სასტუმროს სახურავზე გაშენებული ბაღიდან და ორი ღია ტერასიდან თქვენს წინაშე ჰიმალაების შესანიშნავი ხედი გადაიშლება. დღისით აქ შეგიძლიათ მზის სხივების ოკეანეში იბანათ, ღამით კი ცაზე მანათობელ ბრილიანტებს უმოხიროთ. სასტუმრო მაჰათმა განდის ქუჩაზე მდებარეობს, ამ ქუჩის სიგრძე ერთ კილომეტრზე ცოტათი ნაკლებია. ქუჩა სწორია, მთავარი ბაზრის გაყოლებაზე ჩამწკრივებული მაღაზიებითაა დაქსელილი და განგტოკის ცენტრისკენ მიემართება.

ზედ მთავარი ბაზრის ქვემოთ რამდენიმე წუთის სავალზე უთვალავი მაღაზიით გარშემორტყმული ლალ ბაზარი – ღია ბაზარია გაშლილი. ლალ

ბაზარი დიდ სპარსულ ხალიჩას მაგონებს, მილიონობით პატარა ორნამენტით. ამ უშველებელ ტერიტორიაზე სხვადასხვა და ერთმანეთისგან განსხვავებული კულტურები, ძველი და ახალი, ერწყმის ერთმანეთს. პატის დღეზე, რომელიც ყოველ კვირას იმართება, ლალ ბაზარი ერთ ნახვად და გამოცდილებად ღირს. სოფლის მაცხოვრებლები ბაჭუსიდან, დაურა-შაურალსიდან და დოტიში გამოწყობილი ბიჰარის ბიზნესმენები სპორტულ ჯინსებში ჩაცმული, ბოლო მოდას აყოლილი ქალაქელების გვერდი-გვერდ დგანან და ერთ-ერთ ადგილობრივ ენაზე საუბრობენ, იქნება ეს ბჰუტია, ლეფჰა, ნეპალი თუ ჰინდი და ასე თუ ისე ესმით და უგებენ ერთმანეთს ინდური და დასავლური სიმღერების ხმაურში. კვირაობით ლალ ბაზარში წასვლა განგტოკში მცხოვრებთათვის ყოველკვირეული რიტუალია. ლალ ბაზარი განსაკუთრებული ადგილია, აქ გადალახულია სოციალური და ეკონომიკური კლასობრივი ზღვარი, ეს ის ადგილია, სადაც გარეშე თვალისთვის მეფეც და ღარიბიც შიშველია.

ენჩის მონასტერი

ენჩის მონასტერი ნიგმას ორდენის მნიშვნელოვანი სავანეა, იმ ადგილასაა აგებული, თავად ლამა დრუპტოპ კარპომ რომ აკურთხა. ლამა არამქვეყნიური ძალის პატრონი იყო, მას ფრენა შეეძლო. მონასტერი სანიოლუს ტურისტების საცხოვრებელს ემიჯნება. საცხოვრებელი უღრან ტყეში დგას, განგტოკიდან სამ კილომეტრში. ხეების წვეტიანი კენწეროების მიღმა კანჩენჯონგას ქედი აღარ მოჩანს. კარიბჭიდან მონასტრამდე გზის გასწვრივ მანტრების 131 ყვითელი ბორბალია ჩამწკრივებული. სალოცავიდან დაშვების დროს მარჯვენა ხელით, საათის მიმართულებით ატრიალებ მანტრემის გორგალს. საკმაოდ მძიმე დასატრიალებელია, მაგრამ თუ რიგში დგახარ და შენი წინამორბედები იწყებენ ბორბლის ტრიალს, მაშინ ძალიან ჩქარა და ერთი შეხებით კეთდება ეს საქმე. ამ დროს თურმე განსაკუთრებით ინტენსიურია ასტრალთან შეხება. ენჩის მონასტერში ღმერთებისა და ქალღმერთების გამოსახულებები და სხვა რელიგიური სიწმინდეების ნახვა შეიძლება. ყოველწლიურად, სადღაც იანვრის თვისთვის, მონასტერში დიდი ფანფარის თანხლებით იმართება „ჩაამი“ – ორდლიანი რელიგიური ცეკვა ნიღბებით.

როდესაც მოხუცი ლამები ასი ლამისა და რვა მსახურის ლეგენდას მიყვებოდნენ, ტყიდან თეფშით ხელში გამოვიდა ახალგაზრდა ლამა და მონასტერში ამოყვანილი ახალი კარაქის გასინჯვა შემოგვთავაზა. გავსინჯეთ, ძალიან გემრიელი იყო – უნაზესი და ოდნავ მარილიანი.

ნამგილის ტიბეტოლოგიის ინსტიტუტი

ჩვენი საექსკურსიო განრიგის შემდეგი პუნქტი თავის დროზე ინდოეთში უაღრესად პრესტიჟული ტიბეტოლოგიის კვლევითი ინსტიტუტი გახლდათ, რომელიც დღესაც ბუდიზმის ფილოსოფიისა და რელიგიის მსოფლიოში ცნობილი ცენტრია. ბუდიზმის ინსტიტუტში ლეფჩას, ტიბეტური და სანსკრიტის ხელნაწერების იშვიათი კოლექციები ინახება. ინსტიტუტში დაცულია უამრავი უნიკალური ექსპონატი, 2000-მდე ბუდისტური ქანდაკება და მრავალი სხვა ხელოვნების ღირებული ნიმუში. შენობა, რომელშიც ინსტიტუტია განთავსებული, ტიბეტური არქიტექტურის შესანიშნავი ნიმუშია. ნამგილის ტიბეტოლოგიის ინსტიტუტი ერთადერთი ინსტიტუტია, რომელიც ტიბეტურ ენასა და კულტურას იკვლევს. აქ არის დაახლოებით ოცდაათი ათასი ტომი, ძირითადად ქსილოგრაფია, თარგმანები უფალი ბუდას ორიგინალური სწავლებებიდან და ტრაქტატები, რომელიც ბუდისტ სწავლულებს მთელი მსოფლიოსგან განასხვავებს. აქ პირველად ვნახე და ხელი შევახე ატიმ დიპონკარის დიადი წიგნის ხელნაწერს – კუდომ ბუჩოს.

ლურჯი ცხვრის რესტორანი

იანვრის ცივი საღამო იდგა განგტოკში, მეც, ამარენდრაც და ტუკუც საშინლად დაღლილები და მშვივრები ვიყავით. მოვლენებით დატვირთული პროგრამა გვქონდა, სუფთა ჰაერითა და ახალი გამოცდილებით გაჯერებული. ასე რომ, სწორედ დროული გახლდათ სიკიმისეული ცხელი სუპისა ცხელი მომოს ვახშამი გემრიელ ინდურ რომთან ერთად. ამარენდრამ ლურჯი ცხვრის რესტორანში წასვლის იდეა მოგვაწოდა – განსაკუთრებული ადგილია, სადაც სიკიმის ტრადიციული კერძებით გაგიმასპინძლებიან.

განგტოკის ენერგოკრიზისის წყალობით, ლამპები და ლურჯი სანთლები ლამაზად ანათებდა რესტორანს. რომი შევუკვეთეთ, მაგრამ ოფიციალტმა თავაზიანად შეგვახსენა, რომ იმ დღეს ალკოჰოლური სასმელების გაყიდვის ნებართვა არ ჰქონდათ. არაფერი ვიცოდით სიკიმში აკრძალვის შესახებ, მაგრამ მალევე გავიგეთ, რომ თვეში ორჯერ, როდესაც სავსე მთვარეა ან ნახევარმთვარე, სიკიმში მაგარი სასმელების გაყიდვა იკრძალება. დავემორჩილეთ იქაურ წესს და ტრადიციული ტიბეტური სადილი გეახელით, რომელიც, მერწმუნეთ, ნებისმიერ ღვთებასაც კი აცდუნებდა. ინდური რომის ნაცვლად სადილს ლიმონათი და ადგილობრივი მინერალური წყალი მივაყოლეთ.

10 იანვარს, დილით ეგზოტიკური გემოთი განთქმული სიკიმური ჩაი “სოლჯა” დავლიე და თავი დავუხარე კანჩენჯანგას, რომელიც დილის

სქელ ნისლში ძლივს ილანდებოდა. მერე ბარგის ჩალაგება დავიწყე. ჩვენი სამოგზაურო განრიგი ასეთი იყო: 10 საათზე სასტუმროდან გასვლა და სიკიმის მთის ჩრდილოეთით მდებარე ტაშის სამეთვალყურეო კოშკზე აძრომა. იქიდან მოჩანს სინიოლჩუ, მწვერვალთა შორის ერთ-ერთი ყველაზე წარმტაცი მთელს დედამიწაზე.

ნაწილი მეხუთე

ცივილიზაციისგან მოწყვეტილი მურტი

მათ, ვისაც ბუნება ხელთუქმნელი უყვარს და ასეთად სურს, რომ იხილოს, დასავლეთი ბენგალის მეტყვევობის განვითარების კორპორაციას უნდა მიმართოს. იგი ჰიმალაის ქედისა და ტყეთა მასივის დალაშქვრის საუკეთესო პირობებს შეგიქმნით. მურტის ეკოტურიზმის ისეთ მარგალიტთა შორის მოიხსენიებენ, როგორიცაა ლავა ლოლიტარკოლა, კალიმპინგი, ჯალდაკა, სანტალეიკოლა, რაშიკ ბილი, მონგპონგი და მაკუტმანიპურსი. ამიტომ გეზი მურტისკენ ავიღეთ.

სადამოსთვის უკვე იქ ვიყავით. მურტი ჩრდილოეთი ბენგალის ცენტრალურ ქალაქ შილიგურისგან 73 კილომეტრში მდებარეობს და დასავლეთი ბენგალის ნაკრძალებთან მაკავშირებელი ყველაზე ხელსაყრელი პუნქტია. ბუნება ამ ადგილებში მთელი თავისი საიდუმლოებითა და სისრულითაა წარმოდგენილი. ზურმუხტისფერი მიწის, ულურჯესი ცისა და უკამკამესი ჰაერის საბუდარიდან ერთი ნაბიჯია სამოთხემდე. მანამდე კი – სპილოთა სავანე. “გორუმარას საერთაშორისო ცენტრი” (მურტის ტყის ნაკრძალი, დასავლეთ ბენგალის ბუნებისა და გარემოს კვლევითი ცენტრი), სადაც უნდა დავბინავებულიყავით, მდინარე კალდაკას ერთ-ერთი შენაკადის, მურტის ნაპირზეა განლაგებული.

სანამ რეგისტრაცია გავიარეთ და ოთახებში მოვეწყვეთ, ჩამოხედდა კიდეც. თვალში მომხვდა, რომ ოთახებს ნომრების მაგივრად ადგილობრივი მდინარეების სახელები ერქვა. ჩემი ოთახის კარს “მურტი” ეწერა. ეს იყო ჩვეულებრივი, ერთადგილიანი სასტუმრო ნომერი ფართო ფანჯრითა და აივნით, რომელიც მდინარესა და ადგილობრივ მეტყვევთა დასახლებას გადაჰყურებდა. ცენტრის ყველაზე საინტერესო პუნქტი „გაიატრის სათვალთვალ კოშკი“ გახლდათ, საიდანაც ხელისგულივით მოჩანდა მურტის ტყის თვალუწვდენელი მწვანე საფარი.

ვახშმოზისას მიმტანმა მკაცრად გაგვაფრთხილა, შენობიდან არ გახვიდეთ, ღამ-ღაობით მდინარეზე ველური ცხოველები ჩამოდიანო. ჩაის დასალევად მან ვერანდაზე გასვლა შემოგვთავაზა. ასეც მოვიქცეთ. ვერანდაზე სასიამოვნოდ გრილოდა, ტყიდან მაცოცხლებელი სიო უბერავდა. სავსე მთვარემ იქაურობას ვერცხლისფერი სხივები მოჰფინა. მეტყევეების სოფელი ახლა დიადი მდინარის ნაპირზე მომავალი წარღვნის წინ გარინდულ შუასაუკუნეების ხომალდს ჰგავდა. ჰაერში ყველა ჯურის მწერი ერთად ბზუოდა, გარემო საიდუმლოებითა და მოულოდნელობით დაიმუხტა და ათას თავგადასავალს გვიჩადდა.

ალიონზე ჩემი ფანჯრიდან ფრინველთა მრავალფეროვნების ზეობისა და დიადი მუსიკალური წარმოდგენის მაყურებელი გახლდით. ბულბულმა, რომელსაც ბენგალურადაც “ბულბული” ჰქვია, სოლო პარტია შეასრულა. ბევრი “ზრავო” და “ზის” ვუძახე, მაგრამ პრიმადონასავით გაიპრანჭა, არ მოისურვა და არ შეასრულა, მოტრიალდა და გაფრინდა. მერე ის ხე, რომელზეც ბულბული იჯდა, ჩიტი ალკუნით გაივსო. ისეთი ჭრელია - სამოთხის ჩიტი გეგონება. აივნიდან ვხედავდი, როგორ ფუსფუსებდნენ თავიანთ ეზოებში მეტყევეები და მათი ოჯახის წევრები. ისინი ზურგზე ტომარამოკიდებულები გამოდიოდნენ ეზოდან, მწყობრად გადადიოდნენ ფონით მდინარის მეორე ნაპირზე და ტყეში უჩინარდებოდნენ. უფრო ახლოდან მომინდა ამ უცნაური “ქარავნის” ყურება. ძალიან ადრე იყო. ჩაკრავორტების გაღვიძება მომერიდა და მდინარეზე მარტო წავედი.

ხიდზე რომ გადავდიოდი, მეორე ბოლოში, ხიდის ბურჯზე ჩამომჯდარ ქალ-ვაჟს მოვკარი თვალი. გვერდი ჩავუარე. წელიწადის ამ დროს მურტი, ჩვეულებრივ, წყალნაკლულია ხოლმე და მისი ფართე კალაპოტის ვერცხლისფერ ქვიშაზე სეირნობაც კი შეიძლება. ხიდიდან ძალიან შორს არ წავსულვარ, თუმცა საკმაოდ შორს იყო იმისათვის, რომ თავი ცივილიზაციისგან სრულიად იზოლირებულად მეგრძნო. უცნაური და ამადლებული გრძნობაა, და მაინც, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა თვალი ჩემსკენ მომავალ ამარენდრას მოვკარი. ჩიტების ბანაობა გადავიდე, ერთი-ორი კარგი ფოტო გამოვაო, – მითხრა მან.

უკანა გზაზე მურტის ვერცხლისფერი კალაპოტიდან მარმარილოს რამდენიმე კენჭი ავკრიფე. ხიდთან ისევ იმ ახალგაზრდა ქალ-ვაჟს მოვკარი თვალი, ისინი მურტის ფართე, მშრალ კალაპოტში მისეირობდნენ. გოგონას ბრდღვიალა ყვითელი სარის კალთებს ნიავი უფრიალებდა და იგი მინდორში მოფაფატე პეპელას ჰგავდა. ვაჟს გრძელი ჭრელი პერანგი ეცვა და პეპელაზე მონადირე ალკუნით თავს დასტრიალებდა გოგონას. ღვთაებრივი პეიზაჟი იყო. ისე მოვიხიბლე მათი ცქერით, რომ საუზმის დროს რამდენჯერმე გავედი აივანზე, ნეტავ ახლა სად არიან-მეთქი. ისინი

მურტის კალაპოტში ერთ დიდ, თეთრ ქვაზე ჩამომსხდარიყვნენ და ტკბილად ჭიკჭიკებდნენ.

შუადღისკენ სანაპიროს ხალხით დატვირთული უამრავი საბარგო მაქანა და ფურგონი მოადგა. ხალხი მდინარეზე, ტყის პირას კარვებს შლიდა, სეფებს აწყობდა. დადგეს გამაძლიერებლები და მთელ ხმაზე ჩართეს თანამედროვე ინდური მუსიკა, რომელსაც ამარენდრა გასაგონად ვერ იტანდა. პოლიცია წესრიგს ამყარებდა და დროსტარების ფერხულში ჩაბმულ ბრბოს ხმის გამაძლიერებლების საშუალებით დროდადრო ბუნებაში მოქცევის წესებს ახსენებდა. ტყიდან ნიაგს ინდური სამზარეულოს თავბრუდამხვევი სურნელი მოჰქონდა – გამომწვევი და მიმზიდველი. ცოუნებას ვერ გავუძელით და გადავწყვიტეთ ცოტა ხნით მაინც შევერთებოდით ამ “საყოველთაო” ზეიმს. შესაბამისად, გორუმარას ტყეში ექსკურსია ერთი-ორი საათით გადაიდო.

ჯერ კიდევ შუადღე იდგა, როცა მანქანაში ჩავსხედით და უღრან ტყეში შევაჭერით. ნაცნობი ხიდიდან მიმავალი ვიწრო სამანქანო გზა ტყეს ორად ჰყოფდა. ძალიან ნელა ვმოძრაობდით. ორ საათზე მეტი მოვანდომეთ ამ ექსკურსიას. ვცდილობდით, ჩვენს მახვილ თვალს არაფერი გამოჰპარვოდა. ტყე ჩუმი იდუმალებით იყო მოსილი. გზის ორივე მხრიდან გიგანტური ხეები გვერტყა, მაგრამ მთავარი ტყე მაინც მათ მიღმა იმალებოდა. რაც უფრო უხილავი იყო იგი, მით უფრო გვიზიდავდა და გვიწვევდა სიღრმისკენ, სადაც მისი საიდუმლოს გასაღები იყო დამალული. და უცებ რაღაც საშინელმა ხრიალმა გამოგვაფხიხლა. თვალწინ საოცარი სურათი დაიხატა: მამალ ფარშევანგს თავის გრძელი კუდი შუა გზაზე გაეშალა და სიყვარულის სერენადას უმღერდა არცთუ ისე მომხიბვლელ დედალ ფარშევანგს, რომელიც გზის პირას ტაატით დაბრძანდებოდა. მე და ამარენდრა ამ სასიყვარულო სცენის ფირზე აღსაბეჭდად მანქანიდან გადმოვხტით. რამდენიმე სწრაფი კადრი გადავიღეთ და უკან დავბრუნდით. გზაში, ამარენდრამ აღნიშნა, რომ მანქანიდან გადმოსვლა არც თუ ისე უსაფრთხო საქციელი იყო. ბოლო დროს, თურმე, ამ ჯუნგლებში ადამიანის გატაცების რამდენიმე შემთხვევა მომხდარა.

სადილად ცენტრში დავბრუნდით. მდინარისპირა ზეიმი უკვე ეშხში იყო შესული. ხალხი გახურებული ქეიფობდა: სვამდა, ჭამდა და ცეკვავდა სუფთა ჰაერზე. მათ ჟრიამულს ჩიტების ჭიკ-ჭიკი, წყლის რაკ-რაკი და მწერთა ბზუილი აძლევდა ბანს. ჩვენი ვერანდიდან ეს თავყრილობა დიდ ეგზოტიკურ ბაზრობას ჰგავდა. ჩვენ კიდევ ერთხელ ვცადეთ საერთო ფერხულში ჩაბმა. უკიდუგანო სტუმართმოყვარეობის მოწმენი გავხდით. ყველა ერთად და ცალკ-ცალკე თავის კარავში გვეპატიჟებოდა, საკუთარი სუფრის დაგემოვნებას გვთავაზობდა. სამწუხაროდ, არც ახლა გვქონდა

ბევრი დრო ხალხში გასათქვევად, წინ მურტის მეორე ღირსშესანიშნაობა – სოფლის სასურსათო ბაზარი – გველოდა. მდინარის პირას მოქეიფეთა ერთ ჯგუფში ინდური ხალხური სიმღერის ცნობილი შემსრულებელი აღმოჩნდა. მან სახეზე იცნო პოპულარული სამოგზაურო ჟურნალის “ბრჰამანის” რედაქტორი ამარენდრა ჩაკრავორტი, მოკრძალებით გამოეცნაურა და ერთი სიმღერაც უმღერა.

მურტის სასურსათო ბაზრის ყველაზე გასაოცარი ადგილი თევზის ბაზარია. მდინარის ნობათის მრავალფეროვნება აქ ადამიანის წარმოსახვას სცილდება. გიგანტი, დიდი, საშუალო, მომცრო, მცირე, უმცირესი და იმაზე მცირე – რა ზომის თევზი გინდა, აქ რომ არ იყოს. ზოგი გველსა ჰგავს, ზოგი – მფრინავ თევზს. ამათგან რამდენიმე სახეობა მსოფლიოს ცნობილ აქვარიუმებში მინახავს, ზოგს პირველად ვხედავდი. თევზი, რომელიც ამარენდრამ სადილისთვის იყიდა, ასევე უცნობი იყო ჩემთვის, თუმცა მსგავსი გემრიელი რამ ცხოვრებაში არ მიგემია.

სადამოს ისევ ვერანდაზე ვისხედით და ჩაის მივირთმევდით. თან ვუყურებდით, როგორ ბრუნდებოდნენ ტყიდან მთელი დღის ნამუშევარი სოფლელები. მწყობრში ჩამდგარნი, ისინი ნელა მოუყვებოდნენ თეთრი ქვებით მოკირწყლულ ვიწრო ბილიკს მდინარის ნაპირამდე და ფონს დინჯად გადმოდიოდნენ. დიდი ტომრების ნაცვლად კაცებსაც და ქალებსაც ახლა თავზე გრძელ-გრძელი მორები და ხის ტოტები ჰქონდათ შემოდგმული. აღფრთოვანებული შევცქეროდი, როგორი გრაციოზულობით ახერხებდა ეს ხალხი ასეთი ვეებერთელა და ასეთი “მსუბუქი” თავსაბურავის ტარებას.

ნავახშმევს, ინდური სამზარეულოს კიდევ ერთი შედევრის დაგემოვნების შემდეგ, ლექსების კითხვის ხასიათზე დავდექით. პოეზიის სადამოდ დაახლოებით ნახევარი საათი თუ გასტანა, რადგან მოსაცდელ დარბაზში ქოშინით შემოიჭრა დარაჯი და ტყიდან ველური სპილო მოდისო – იყვირა. აივანზე გავცვივდით. თუმცა სავსე მთვარე ანათებდა, მდინარის გაღმა ნაპირთან მომდგარი სპილოს მხოლოდ კონტურების დალანდვას ვახერხებდით. დარაჯი, რემდენიმე იქაური მეტყევე და ცენტრის თანამშრომელი ეზოში გავარდა, ჩვენც მათ დავედევნეთ. ყველანი მდინარის ჯებირს ამოვეფარეთ. გაღმიდან შავი მთა მოდიოდა და ნელ-ნელა უახლოვდებოდა სოფელს. “ჰას! ჰას!” ყვიროდნენ სოფლელები და მესერზე რკინებს უბრაახუნებდნენ. ძაღლები თავგამოდებით ჰყეფდნენ, ქალები კიოდნენ. მთა უცებ შედგა, ადგილიდან აღარ იძროდა, თითქოს ამ განგაშმა და კივილ-წივილმა გააქვავაო. ცოტაც და, ეს მონოლითი კვლავ ამოდრავდა, ტყისკენ შეტრიალდა და წამში გაუჩინარდა, ვით მირაჟი უდაბნოში. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ სპილოები ასე მსუბუქად და

სწრაფად მოძრაობდნენ. ეს ამბავი იმ ღამეს სიზმარშიც ვნახე, დილას კი ველარ ვარჩევდი, ცხადში რა მოხდა და სიზმარში – რა.

ნაწილი მეექვსე

ჯუნგლი

12 იანვარს, ალიონზე, ჩალაგებული ბარგით დასავლეთ ჰიმალაის კიდეც ერთი ღირშესანიშნაობის, ჯოლდაპარას ნაკრძალის (სრულად: ველური სამყაროს ჯოლდაპარას ნაკრძალი) დასალაშქრად გავემზადეთ. პირველ საათზე უკვე ნაკრძალის მისადგომებთან ვიყავით. იქიდან პირდაპირ ჰოლონგის ტყის ტურბაზისაკენ ავიღეთ გეზი. იგი მდინარე ჰოლონგის შუაწელსა და ჯოლდაპარას ჯუნგლში მდებარეობს. ჯოლდაპარაში ჩასვლა დაგვაგვიანდა, რადგან ცენტრალურ გზაჯვარედინზე ინდოეთის პოლიტიკური პარტიის “პირველი კონგრესის” ადგილობრივი ორგანიზაცია, არ მახსოვს, რასთან დაკავშირებით, მაგრამ საპროტესტო აქციას მართავდა და ორი საათით სამანქანო გზა ჰქონდა გადაკეტილი.

რაც უფრო ვუახლოვდებოდით ნაკრძალს, მით უკეთ ვფლობდით ადგილობრივი ფაუნის თავისებურებებსა და გარემოში, კერძოდ, ნაკრძალში ქცევის წესებს. გზის ორივე მხარეს აღმართული სარეკლამო დაფები დეტალურ ინფორმაციას გვაწვდიდნენ ამის თაობაზე. ახალბედა მოგზაურისთვის არცთუ სასიამოვნო წასაკითხი იყო წარწერა, რომელიც იმთავითვე გვაფრთხილებდა, აღიჭურვით მოთმინებით და შეეგუეთ აზრს, რომ ცხოველები ჯუნგლებში თქვენს ჭკუაზე არ დადიან, მათთან შეხვედრა ჩვეულებრივი მოვლენა არ არისო. სხვა ყურადსაღები რჩევები და წესები ასეთი თანმიმდევრობით მოგვეწოდებოდა:

- სიჩუმე და დისციპლინა ფასობს!
- იმოგზაურეთ მცირე ჯგუფებად;
- იმოგზაურეთ დილით ადრე ან ნაშუადღევს;
- ნუ იმოგზაურებთ მარტო;
- ნუ ჩაიცმევთ ფერად ტანსაცმელს და ნუ იხმართ სუნამოს;
- ნუ მოსწევთ, ნუ აანთებთ სანთებელას, ნუ გაჰკრავთ ასანთს;
- ნუ დაანაგვიანებთ ტყეს ნახმარი ჭურჭლით – ნურც საკვებით, ნურაფერს წამოიღებთ ნაკრძალიდან;
- პატივი ეცით ცხოველებს და მათ ჩვევებს;
- ნუ შესცურავთ უცნობ წყალში, შეიძლება, დაავადდეთ;

- აკრძალულია ცეცხლსასროლი ან ნებისმიერი სხვა სახის იარაღის ტარება.

არავის ვუსურვებდი ამ წესთაგან რომელიმეს დარღვევას. ჯუნგლი მაშინათვე და მთელი სიმკაცრით აღასრულებს განაჩენს.

ამარენდარა ჩაკრავორტი საკუთარი მოგზაურობის მდიდარი გამოცდილებიდან მორიგ სასერიო ამბავს გვიყვება: ერთხელ ამ ბენგალელმა “პაპარაციმ” (ესე ემახის ამარენდრას ხანდახან მისის ჩაკრავორტი) გადაწყვიტა, ახლო ხედით გადაეღო გზაზე ბრინჯის ყანაში “შეპარული” ველური სპილო. მან ფურგონის მძღოლს სთხოვა, რაც შეიძლება მიუახლოვდი სპილოსო. იმან თხოვნა შეუსრულა და დასაშვებ ზღვარსაც კი გადააცილა, თუმცა ჩაკრავორტის გული მაინც ვერ მოიგო. ამარენდრას ეს მანძილი არ აკმაყოფილებდა. იგი გადმოხტა მანქანიდან, გაიქცა სპილოსკენ, გადაუღო რამდენიმე სწრაფი კადრი და მალევე დაბრუნდა ფურგონში. მძღოლმა და მგზავრებმა შვებით ამოისუნთქეს. ამარენდრა უსაზღვროდ კმაყოფილი და ამაყი ჩანდა. მგზავრი სამშვიდობოს რომ დაიგულა, გამყოლმა ისე, სხვათაშორის, აღნიშნა, ორი დღის წინ სწორედ ამ სპილომ გზაზე მდგარი მსუბუქი მანქანით ფეხბურთი ითამაშაო. იქვე დაუმატა, კიდევ კარგი, იმ მსუბუქი მანქანის მძღოლი მაყურებლის როლში აღმოჩნდა და არა მოთამაშისო.

ამ პატარა კურიოზს თუ არ ჩავთვლით, ამარენდრა მეტად გამოცდილი და გონებამახვილი მოგზაურია. მან ყველაფერი იცის ჯუნგლების შესახებ, მაგრამ როცა ხელში ფოტოაპარატი უჭირავს, გულმავიწყი ხდება ხოლმე და თავის “სიგიჟეებს” მერე “პაპარაცულ” ინსტინქტს მიაწერს.

ჰოლონგის ტყის ტურბაზას გარს ხშირი ტყე და ორი ცალმხრივი, ვიწრო სამანქანო გზა არტყია. ორივე გზა ღრმად შედის ჯუნგლებში. ტურბაზის წინ, მდინარის პირას ნამდვილი წალკოტია, უბრალო სახელით –პარკი. პარკში სანაპიროს გასწვრივ და ტერასულად სკამებია ჩაშენებული. აქედან მდინარის გაღმა მინდორზე მარილის სალოკად მოსული გარეული ცხოველების ცქერა შეიძლება. ცხოველები უფრო სადამოობით მობრძანდებიან ხოლმე. და მაშინ მთვარის შუქზე განათებული მდელო “ფეშენ შოუს” პოდიუმს ემსგავსება, რომელზეც ცხოველები გრაციოზული მოდელების როლს ასრულებენ, ადამიანები კი – აუდიტორიისას.

ტურბაზიდან არცთუ შორს გაწვრთნილი სპილოების სადგომი და მათი მომთვინიერებლების დასახლება მდებარეობს. ის სადამო თავისუფალი გვექონდა, ამიტომ გადავწყვიტეთ, “სპილოების სოფელში” გაგვესიერნა. სოფელს ტურბაზისგან ერთი პატარა ხიდი ჰყოფდა. ხიდის თავში სპილო

იგდა და ჩვენსკენ მოემართებოდა. ერთად ამ პატარა ხიდზე ნამდვილად ვერ დავეტოდი, ამიტომ გადავწყვიტეთ, მოგვეცადა, გვერდზე გავმდგარიყავით და სპილოსათვის გზა დაგვეთმო. განძრევაც ვერ მოვასწარი, რომ ჩვენს ზურგს უკან განგაში ატყდა. მივხვდი, ამ სპილოს წვრთნა მაინც და მაინც არ ეპიტნავებოდა და სადგომიდან გამოიპარა. ყვირილი არ წყდებოდა, ჩვენი გულშემატკივრები გამალებით იქნევდნენ ყველაფერს რაც ხელში მოხვდებოდათ და ხმის ჩახრენწამდე ღრიალებდნენ. როგორც იქნა, გავაცნობიერეთ, რომ საქმე ჯუნგლის ველურ სპილოსთან გვექონდა.

იმ დღეს ჩვენ სამმა მსოფლიო რეკორდი მოვხსენით სირბილში. სპილო რას შვებოდა, ვერ ვხედავდი. დავინახე, ერთი მოტოციკლისტი არხეინად შემოგრიალდა ჯუნგლიდან ხიდისკენ მიმავალ გზაზე, მერე რატომღაც გადმოხტა მოტოციკლიდან და ჩვენთან ერთად ტურბაზის ჭისკრისკენ გამოქუსლა, ცარიელი მოტოციკლი ჯერ ჩენ დაგვეწია, შემდეგ ჭიშკარს შეასკდა. მაყურებელმა კიდეც ერთხელ დაიღმუვლა სასოწარკვეთით. მივხვდი, საფრთხე ჯერ კიდეც ახლოს იყო. ერთ წამს რაღაცნაირად მოვახერხე უკან მოხედვა. სპილო მშვიდობიანად გადმოსულიყო ხიდზე და სხვა გზას ადგა – პირდაპირ შეაბიჯა ჯაგნარში. მოკლედ, ასე გადავრჩით. სული რომ მოვითქვით და ცოტა აზრზეც მოვედით, გამეოლთან და სხვა ტურისტებთან ერთად მოშინაურებული სპილოების სოფლის დასათვალიერებლად წავედით.

სპილოების სოფელი ზომით ერთი საშუალო ქალაქის პარკს უდრიდა ორ-სამი საცხოვრებელი სახლით, ათიოდე ხის ვოლიერით, უშველებელი საბძლით და რამდენიმე გომურით. დედა სპილოები თავიანთ სპლიყვებთან ერთად სადილს ღია ცის ქვეშ მიირთმევდნენ. ზოგი ხის მერქანზე იფხანდა ზურგს. ყველას ფეხებზე მძიმე ბორკილები ედო. სპლიყვები გამალებით წოვდნენ მუშუს. ზუსტად ისე თამაშობენ, როგორც პატარა, ონავარი ბავშვები. ამაზე სახალისოს და საყვარელს თვალი დედამიწის ზურგზე ვერაფერს ნახავს.

უკანა გზაზე ერთ-ერთ ქოხთან შევჩერდით. ეზოს ჭიშკარში პატარა გოგონა იჯდა. ამარენდრა გამოესაუბრა, ჰკითხა, ამ სპილოთაგან რომელიმეს შენს ფანჯარაზე ხორთუმით არ დაუტაკუნებიაო? გოგონამ უპასუხა – დიახო. შემდეგ ამარენდრამ ჰკითხა, რომელიმე სპილოს თავისი ხორთუმით ხომ არ აუტაციახარ და ზურგზე ხომ არ შემოუსვიხარო? გოგონამ უპასუხა – დიახო. დაბოლოს, ამარენდრამ ჰკითხა გოგონას, სპილოების ხომ არ გეშინიაო? გოგონამ მორცხვად დაუქნია ამარენდრას თავი და “დიახ” – წაიჩურჩულა. ეს ისეთი გულწრფელი და გულუბრყვილო აღიარება იყო, სიცილი ვერ შევიკავეთ. ამარენდრამ გოგონას ნაზად გადაუსვა ხელი

ლამაზ ხუჭუჭ თმაზე და რაღაც ძალიან ტკბილი უთხრა ბენგალურ ენაზე. გოგონამ გაგვიღიმა და მზრუნველი ტონით გაგვაფრთხილა, ყურადღებით იყავით, ახლო-მახლო “ჯუნგლი” (ველური) სპილო დადისო. მაღლობა გადავუხადეთ ჩვენს პატარა მეგობარს და დავპირდით, რომ მის რჩევას აუცილებლად გავითვალისწინებდით. დარჩენილი საღამო პარკში – სათვალთვალ პუნქტში გავატარეთ იმ იმედით, რომ ჯოლდაპარას ჯუნგლის რომელიმე გამოჩენილი მხეცი პატივს დაგვდებდა და “პოდიუმზე” გამობრძანდებოდა, მაგრამ ვერ მოგვართვეს. აკი ჯუნგლებში მოქცევის ათი მცნებიდან ერთი სწორედ იმას ჰღაღადებდა – მოთმინებით აღიჭურვეთო. უკვე ბნელდებოდა. სუვენირების მაღაზიაში შევედით. ეს ჰოლონგის ტყის ტურბაზის ყველაზე პაწია ოთახი იყო. იქ მხოლოდ ჯოლდაპარას ჯუნგლის ნობათი და ადგილობრივი ხალხური რეწვის ნიმუშები იყიდებოდა. მაღაზიის გვერდით მდებარე კიდეც ერთ პაწია ოთახს მუზეუმი ერქვა. აქვე გავიგე, რომ ჯოლდაპარას ნაკრძალის ტერიტორია 216 კვ.კმ-ს ტოლია, იქ 64 მარტორქა, 7 ბენგალური ვეფხვი და ბუნებაში ფართოდ გავრცელებული ფლორისა და ფაუნის მრავალი სხვა სახეობა ბინადრობს. ჯოლდაპარას ჯუნგლებში უნიკალური სახეობებთან ერთად გვხვდება გადაშენების პირას მყოფი ცხოველები და მცენარეებიც.

მეორე დილას მოგვახსენეს, რომ ჯუნგლებში სპილოებით ექსკურსია გაურკვეველი დროით გადაიდო. თურმე “ჯუნგლი” სპილო, რომელიც გუშინ ხიდზე შემოგვხვდა, ღამით თავს დასხმია სადგომს და ორფეხა ცხოველებზე დაგროვილი მთელი ბოღმა საწყალ მოთვინიერებულ ძმებზე გადმოუნთხევია. სპილოების სადგომი მაგრად მიუნგრევ-მოუნგრევია და მერე გაცლია იქაურობას. საბედნიეროდ, მსხვერპლი არ იყო.

სპილოების სოფლის დასახლებას თავზარი დაეცა, ყველა ექსკურსია დროებით გადაიდო, თვითონ სპილოების დაწყნარებას ერთი-ორი საათი მაინც სჭირდებოდა. დროის მოსაკლავად ისევ პარკს მივაშურეთ. მდინარისა და ტყისპირი ახალი ფერებით აყვავებულიყო. ცხელოდა, კრიალა წყალი კამკამებდა და მდინარეში საბანაოდ გვიტყუებდა, მაგრამ კანონი კანონია, მითუმეტეს, თუ ის ჯუნგლისაა. „უცნობ წყალში ნუ შესცურავ, შეიძლება დაავადდე” – ჰღაღადებს იგი. მოდი და ნუ დაემორჩილები.

დრო ძალიან ნელა გადიოდა. გულწრფელად შემზიზლდა დედამიწის ზურგზე ბინადარი ყველა სპილო – შინაურიც და გარეულიც. როგორც იქნა, შუადღისას ინსტრუქტორი გამოგვეცხადა და გვითხრა, რომ უკვე შეგვიძლიათ მოვემზადოთ ჯუნგლებში სამოგზაუროდ. ყველანი სათვალთვალ პლატფორმასთან მოვგროვდით. გზაზე ორი დედა სპილო

და სამი სპლიყვი გამოჩნდა. მათი დანახვა ისე გაგვიხარდა, ტაში შემოვკარით. ყველაზე უმცროს სპლიყვს ძალიან მოეწონა ჩვენი ოვაცია და პასუხად პოზიორობა დაიწყო. ისეთი პრანჭვა-გრეხა ატეხა, რომ ამოშვერილ ფესვს ფეხი წამოჰკრა და ტაკოთი მიწაზე მოჰჯდა. ძალიან შეურაცხყოფილად იგრძნო თავი, დედამისისკენ გაქანდა და თავი ძუძუებში შეუყო.

დიდი სპილოები პალთფორმასტან მოაყენეს და ჩვენ ქვის კიბით და მათ ზურგზე მოწყობილ ტახტრევანზე ავედით. ზედ ოთხ-ოთხი მოვთავსდით. ორ ჯგუფად გავიყავით, თუმცა იმ ველური სპილოს შიშით, გაბრაზებული რომ დაბორილობდა ჯუნგლებში, ერთმანეთს არ ვშორდებოდით. სპლიყვებს ბევრი არაფერი ადარდებდათ, რადგან დედების გვერდით თავს სავსებით უსაფრთხოდ გრძნობდნენ. ისინი ჯუნგლის ჭრელ ხალიჩაზე ონავრობდნენ, დამტვრეულ ტოტებს ცოხნიდნენ და გამხმარ ფოთლებს ხორთუმით თავზე იყრიდნენ.

სპილოს ზურგზე ჯდომა არცთუ ისე იოლი საქმე ყოფილა. გამუდმებით ვიცავდით თავს ტოტებისა და ხლართებისაგან. ასე, ტოტებთან ომში ჩვენს ერთ-ერთ თანამგზავრს შარფი მოძვრა და ძირს ჩაუვარდა. მაჰუტმა (სპილოს მომთვინიერებელი) რაღაც ჯადოსნური სიტყვა ჩასჩურჩულა თავის სპილოს და იგიც შედგა, ხორთუმით გამხმარი ფოთლების სქელ საფარში შარფის ძებნა დაიწყო, ცოტა მიქექ-მოქექა იქაურობა, შარფს მიაგნო და ხორთუმით პარტონს ამოუგზავნა. გზა გავნაგრძეთ. რაღაც მდინარეს მივადექით. დიდ სპილოებს მდინარე მუხლამდე სწვდებოდა. ისინი ფონს გავიდნენ და დაელოდნენ, როგორ გადალახავდა წყალს მათი ბადიში. კიდევ ცოტა რომ გავიარეთ, საშინელი ღრიალი შემოგვესმა. იქით წავიწიეთ და დავინახეთ, რომ ჯაგნარში უშველებელი მარტორქა ჩაწოლოლიყო, ფერდიდან სისხლი სდიოდა, დაჭრილი, გამწარებული ღრიალებდა. მაჰუტმა თქვა, აქვე სადღაც მისი მეტოქე უნდა იყოს, სულ ახალი ნაომარიაო. სუნთქვა შეგვეკრა. ორივე სპილომ ზევით აღმართა ხორთუმი და გამაფრთხილებელი, საომარი ნალარა დასცხო. ერთი წუთის წინ უდარდელად მონავარდე პატარა სპლიყვი შიშისგან დედამისს ფეხებშუა შეუძვრა. დაჭრილმა მარტორქამ, თითქოს კაპიტულაცია გამოაცხადაო, ფეხზე წამოფორთხდა და ჯაგნარიდან გამუნძულდა. ჩვენ უკან გავყევით. საბოლოოდ, მაღალი ბალახით დაფარულ ერთ ტრიალ მინდორზე ამოვყავით თავი. მარტორქის ბრინჯაოსფერი ტორსი გიგანტურ მოძრავ ქანდაკებას ჰგავდა. საბრალო ცხოველი! ჩვენთნ საქმის დაჭერას, აშკარად ჯაგნარში გდება და ჭრილობის მოშუშება ერჩივნა. დრო აღარ ითმენდა. დაჭრილ მარტორქას რამდენიმე სწრაფი ფოტო გადავუღეთ და დაგვემიღ მარშრუტს მივუბრუნდით.

გზაზე დიდოსტატი ბუნების კიდეც ერთ შედეგს გადავეყარეთ. ეს იყო ლიანების ოქროსფერი თოკითა და მწვანე სუროს ფოთლებით ნაქსოვი დიდებული კარავი, რომელიც რომელიღაც გიგანტური ხის შუაწელიდან იყო გადმოფენილი. “ეს პითონის საძინებელია”, – თქვა მაჰუტმა. პითონის გემოვნებაში ეჭვს ნამდვილად ვერ შეიტანდით. მისი საძინებელი ყველა დროის დიზაინის საუკეთესო ნიმუში იყო.

“ონქუიში” სპილოს მართვის იარაღია: რკინის ჯოხი ერთ ბოლოში მახვილითა და მეორე ბოლოში – კაუჭით. თუ სპილო ბრძანებას არ ასრულებს, მაჰუტი მას სასტიკად სჯის: გამეტებით ურტყამს თავში ონქუიშს და მსხვილ კისერში მთელი ძალით ურჭობს მახვილს. რამდენჯერაც ჩაიდინა მაჰუტმა ეს “სადისტური” საქციელი, იმდენჯერ გამაჟრიალა, მეგონა, იმ რკინას მე მირჭობდა და მირტყამდა. ვერაფერს ვშველოდი გარდა იმისა, რომ თვალწინ მედგა გარეული სპილოს, “ჯუნგლის მბრძანებლის”, გუშინდელი პროტესტი – მინგრეულ-მონგრეული ვოლიერები, საბძლები და გაღახული ძმანნი მისნი. ეს იყო მისი ძალისა და ღირსების დემონსტრირება, მისი დიადი მოდგმის მარადიული თავისუფლების დეკლარაცია.

ტურბაზაში რომ დავბრუნდით, მაჰუტმა ხელი მოუთათუნა თავის სპილოს და ჩვენც დაგვრთო ნება მოვფერებოდით. მე სპლიყვს ჩავეხუტე და ამარენდრამ ეს მომენტი ფოტოფირზე აღბეჭდა. ეს ფოტო ჯოლდაპარას ტყიდან წამოღებული საჩუქრებიდან ყველაზე ძვირფასია.

სადამოს მდინარის ნაპირზე სამოთხებრივ დაისს ვუყურეთ. გაღმა მინდორზე („პოდიუმზე“) შინაური სპილოების რამდენიმე ოჯახი გამოვიდა – შვიდი სპლიყვი და მშობლები. მშობლებმა შვილები მდინარეში დაბანეს, შემდეგ მინდორზე მოჰნეული მარილი ალოკეს, ბანანის ტოტები მიირთვეს, ცოტა გაიარ-გამოიარეს “პოდიუმზე და საბოლოოდ, მკაცრი მხედრული ნაბიჯით დატოვეს მინდორი. ცოტა ხანში “პოდიუმზე” აშკარად გზააბნეული, კოჭლი ტახი გამოვარდა, მიიხედა-მოიხედა და თავქუდმოგლეჯილი შევარდა უკან ტყეში. ამით დამთავრდა იმდამინდელი სპექტაკლი.

ეს იყო ჯოლდაპარას ნაკრძალში ჩვენი სტუმრობის ბოლო ღამე. ორ დღეში ისედაც მთავრდებოდა ჩემი მოგზაურობა დასავლეთ ბენგალში. კალკუტაში ჩასვლისთანავე ჩაკრავორტების ოჯახისადმი მაღლობის წერილის წერა დავიწყე. ვწერდი ადამიანებს, რომლებმაც ცხოვრების თხუთმეტი ჩვეულებრივი დღე საოცრებების სამყაროში გამატარებინეს და ცნობიერებაში დაღუპილი სრულიად უცნობი შეგრძნებები გამიცოცხლეს.

თუ დამიჯერებთ, დღესაც ამ სამადლობელ წერილს ვწერ, ვერ იქნა და ვერ დავამთავრე, ალბათ, მთელი ცხოვრება არ მეყოფა საამისოდ.